დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ-ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ბერეთისის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თინა ძულიაშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

თინათინ ბედუკაძე --ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ნატა ბიჭიკაშვილი-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ეკატერინე ჭელიძე -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
სალომე ასათიანი-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ინგა ხრიკაძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
მარინე მურჯიკნელი-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ბელა დურგლიშვილი-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
მზია დადვანი-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ვლადიმერ უშიკიშვილი-სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნათია კურტანიძე-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ბერეთისის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	215606397

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ჭიათურის რაიონი ,ქვედა ბერეთისა
ფაქტობრივი მისამართი	ჭიათურის რაიონი,ქვედა ბერეთისა
საფოსტო ინდექსი	5500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi@emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	kvedaberetisi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	595889298

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 17 მარტის MES 7 26 0000324122 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წელი, 23 და 24 აპრილი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადსაგანმანათლებლო დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ჭიათურა ,სოფელი ქვედა ბერეთისა ერთი შენობა-ნაგებობა
2	ზოგადსაგანმანათლებლო საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ჭიათურა ,სოფელი ქვედა ბერეთისა ერთი შენობა-ნაგებობა
3	ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქარული ენა	ჭიათურა ,სოფელი ქვედა ბერეთისა ერთი შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2026 წლის 23-24 აპრილს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ბერეთისის საჯარო სკოლაში.

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია.

ვიზიტის დღის წესრიგი გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. დაათვალიერა სკოლის შენობა.

ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება: დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან. საგნობრივი ექსპერტები Teams პლატფორმის საშუალებით გაესაუბრნენ შესაბამისი კათედრის წარმომადგენლებს. ინტერვიურების პროცესში, საგნობრივი ექსპერტების მიერ დაისვა დამაზუსტებელი კითხვები. შეხვედრისას განხილულ იქნა საგნობრივი კურიკულუმები, პედაგოგებს მიეცათ რჩევები კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. საგნობრივ ექსპერტებს გადაეგზავნათ ფოტომასალა, რომელზეც ასახული იყო სკოლის ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო რესურსები. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა შეაჯამებს ორივე დღე და მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც სამუშაო პროცესში გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 70	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	➢ სკოლამ მიიღო რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში(21.01.2026-30.06.2026 წელი) წარმოადგინოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. ➢ სკოლამ მიიღო რეკომენდაცია,შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (21.01.2026 წელი-30.06.2026 წელი) წარმოადგინოს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. ➢ სკოლამ მიიღო რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (08.05.2026 წელი-01.09.2026 წელი) უზრუნველყოს შიდა და გარე პერიმეტრის აღჭურვა ვიდეო-სათვალთვალო კამერებით.
ინდიკატორი 3.5.1.4	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნ სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში(08.05.2026 წელი -31.12.2026 წელი)უზრუნველყოს ადაპტირებუილი სველი წერტილის და შიდა პანდუსის მოწყობა მე-2 სართულზე არსებული სივრცეებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმი**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 2.2.2.3.	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** • სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.01.2026 - 31.12.2026) უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიის რესურსებით უზრუნველყოფა. **ტექნოლოგიები:** • სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.01.2026 - 31.12.2026) უზრუნველყოს კომპიუტერული ლაბორატორიის საკმარისი რაოდენობის კომპიუტერით აღჭურვა.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N.1.2.1.1.	*სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს*	სასურველია, სკოლამ სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში განსაზღვროს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესზე პასუხისმგებელი პირი/ პოზიცია.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული**	*რჩევა*

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	სასურველია, სასწავლო წლის ბოლომდე სკოლამ აიყვანოს / დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
ინდიკატორი 3.5.1.3	*სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით*	სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკის აღჭურვა პრინტერითა და კომპიუტერით, რათა ხელი შეეწყოს საბიბლიოთეკო სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას.
ინდიკატორი 3.6.1.1	*ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას*	სასურველია, სკოლამ აღჭურვოს კომპიუტერული ლაბორატორია ახალი კომპიუტერებით, რათა ხელი არ შეეშალოს ეროვნული სასაწავლო გეგმით განსაზღვრული პროგრამებით სწავლებას.
ინდიკატორი 3.6.1.2	*ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად*	სასურველია, სკოლამ კომპიუტერულ ლაბორატორიაში გამოაკრას ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი.

ინდიკატორი 3.6.2.1	სკოლაშიმოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი	სკოლამ უზრუნველყოს დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალის მთლიანობა.
ინდიკატორი 3.6.2.4	სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან	სკოლამ უზრუნველყოს საქმისმწარმოებლის პროფილის გამართული ფუნქციონირება.
ინდიკატორი 3.6.3.4	*ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია*	სასურველია, სკოლამ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში.
ინდიკატორი 3.7.1.2	სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა	სკოლამ უზრუნველყოს 2026 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანა.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*

ინდიკატორი 4.1.1.2	მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან	მიზანშეწონილია, განმავითარებელი შეფასების შედეგების სრულად ასახვა ელექტრონულ ჟურნალში, რაც ხელს შეუწყობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდას და სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას.
ინდიკატორი 4.2.1.6	მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას	მიზანშეწონილია ,მოსწავლეთა და მშობლების უკუკავშირის სისტემური შეგროვება და ანალიზი, რაც ხელს შეუწყობს მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას.
ინდიკატორი N 4.2.2.1	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის	მიზანშეწონილია, კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების სისტემატიზაცია, შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა (მაგ., კარიერული შეხვედრები, პროფესიული ორიენტაციის სესიები) და უკუკავშირის საფუძველზე მათი განვითარება.
ინდიკატორი N 4.2.2.3	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს	მიზანშეწონილია, კარიერული ორიენტაციის მომსახურების ხარისხის სისტემური შეფასების მექანიზმების დანერგვა და მიღებული შედეგების გამოყენება მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური*	***რჩევა***
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** • სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ პრაქტიკულ სამუშაოებზე - საბაზო და საშუალო საფეხურზე.

		• სასურველია, გაკვეთილებზე გამოყენებული იყოს მარტივი, უსაფრთხო ექსპერიმენტები, მეტი ყურადღება დაეთმოს კეთებით სწავლებას. • სკოლას აქვს ლაბორატორია, აქვს გარკვეული რაოდენობის ჭურჭელი და რეაქტივები, რაც ზოგიერთი უსაფრთხო ცდის საკლასო ოთახში ჩატარების საშუალებას იძლევა. პირველ რიგში, სასურველია, კარადა, სადაც რეაქტივები ინახება, უსაფრთხოების მიზნით, დაიკეტოს (ლაბორატორიის კეთილმოწყობის გეგმა სკოლას შესაბამისობის გეგმაში აქვს გაწერილი). **უცხოური ენები:** • კურიკულუმის შემდგომი დახვეწის მიზნით, უცხოური ენის კათედრამ სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი ძირითადი ცნებები (ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები) დეტალურად დააკონკრეტოს ქვეცნებების დონეზე, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო შინაარსის მეტად სტრუქტურირებულ და გამჭვირვალე ორგანიზებას. **ესთეტიკური აღზრდა:** • მუსიკის საგნის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა კლასის კურიკულუმში, დროის ორგანიზების მიზნით, სასურველია მიეთითოს საგნისთვის განსაზღვრული სემესტრული საათობრივი დატვირთვა. • სასურველია გაითვალისწინოთ რომ სახვით და გამოყენებითი ხელოვნების დაწყებითი საფეხურის

		კურიკულუმში თემის ფარგლებში ცნების დასამუშავებლად შერჩეულ უნდა იქნას საკითხი, საგაკვეთილო თემების ჩამონათვალის ნაცვლად. • დაწყებით საფეხურზე მუსიკის საგანსა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში ჩამოყალიბდეს მოკლე და ლაკონიური შემოქმედებითი დავალების იდეა (გაწერილი ნაბიჯების გარეშე (სკოლამ დაიწყო შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრის ძიება, რაც არსებული პრობლემების აღმოფხვრას განაპირობებს). • საბაზო საფეხურზე, მე-8 და მე-9 კლასის მუსიკის კურიკულმში გათვალისწინებულ იქნას დროში მოსწრებადი, განხორციელებადი შემოქმედებითი დავალების რაოდენობა (თემაში ერთი), საათობრივი ბადით განსაზღვრულ საათების რაოდენობასთან მიმართებით, ასევე გათვალისწინებული იქნას იმ საკითხების დამუშავება, (მაგალითად მე-8 კლ. თემას ,,ხილული და უხილავი მუსიკაში“ დაგეგმილ შემოქმედებით დავალებას. .დეკლამაციის ნაირსახეობები ხილულისა და უხილავის გადმოცემაში ორატორიაში'', წინ უძღვოდეს საკითხების - I - სიტყვა და ინტონაცია დეკლამაციაში, ხილულისა და უხილავის გადმოცემაში, II - მელოდეკლამაცია ხილულისა და უხილავის გადმოცემაში, დამუშავება), რომელიც შემოქმედებით დავალებამდე მისვლაში დაგეხმარებათ. ასევე, მე-9 კლასში თემის ,,მითი და რეალობა მუსიკაში'' ფარგლებში ამ ეტაპზე სასურველია დატოვოთ ორი საკითხი, 1 შემოქმედებითი დავალება.

		• მუსიკაში - საბაზო საფეხურის კურიკულუმებში სრულყოფილად გაიწეროს ყველა ცნება - ბგერა, რიტმი, მელოდია, ჰარმონია, ფორმა, ჟანრი. • სახვითი და გამოყენიბითი ხელოვნების კურიკულუმში მოხდეს ძირითადი კონტექსტ-მაგალითის გრაფაში იმ იდეის ჩამოყალიბება თუ რა კონტექსტში ხდება თემის დამუშავება შემოქმედებითი დავალებიდან გამომდინარე (თემაში, სადაც არ ხორციელდება შემოქმედებითი დავალება, არ არის სავალდებულო კონტექსტ-მაგალითის გრაფის შევსება). **მათემატიკა:** • სასურველია, თემების დასახელებისას გამოიყენოთ მესამე თაობის ესგ, რაც კურიკულუმებს მეტ აკადემიურობას შესძენს.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** • მე და საზოგადოების კურიკულუმის მასალებში სასურველია ეწეროს საკითხები; • სასურველია მე და საზოგადოების, გეოგრაფიის, ჩვენი საქართველოს მასალებში იყოს შემოქმედებითი პროდუქტის მამტკიცებელი დოკუმენტები. **ესთეტიკური აღზრდა:** • სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში V-VI კლ. ცალ - ცალკე სამიზნე ცნებად შეიტანოთ დარგები და ჟანრები; • სასურვლია მუსიკის საგანში პროექტული სწავლების კურიკულუმში, ერთად წარმოდგენილი სავალდებულო პროექტების ნაცვლად, დაზუსტებული იყოს ის ორი

		პროექტის/ შემოქმედებითი დავალების იდეა, რომლებსაც ახორციელებთ; • მუსიკაში - საბაზო საფეხურის კურიკულუმებში სრულყოფილად გაიწეროს ყველა ცნება - ბგერა, რიტმი, მელოდია, ჰარმონია, ფორმა, ჟანრი. **მათემატიკა:** • სასურველია, სამივე საფეხურის თითოეული კლასისთვის წარმოდგენილი კურიკულუმის ყოველი კომპონენტი, მათ შორის ქვეცნებები, წარმოდგენილი იყოს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. **ტექნოლოგიები:** • სასურველია, დაიგეგმოს პროექტები სხვა საგნებთან ინტეგრირებით.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** • სასურველია რესურსების ბანკის პერიოდული განახლება აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური კვლევებით. **უცხოური ენები:** • სასურველია უცხოური ენის კათედრამ მეტად გააძლიეროს საკუთარი, კონტექსტზე მორგებული ციფრული საგანმანათლებლო რესურსების შექმნა. მოსწავლის საჭიროებებზე დაფუძნებული მასალების განვითარება ხელს შეუწყობს როგორც კურიკულუმის კიდევ უფრო ეფექტიან იმპლემენტაციას, ისე სწავლების

		პროცესის ინდივიდუალიზაციას და ინოვაციური მიდგომების დანერგვას. **ესთეტიკური აღზრდა:** • სასურველია მასწავლებლებმა სამივე საფეხურის კურიკულუმების შესაბამის ველში სრულად შეიტანონ ის ელექტრონული თუ მატერიალური რესურსები, რომლებსაც იყენებენ გაკვეთილებზე. სასურველია კურიკულუმში მითითებული რესურსების მიზნობრიობის დაზუსტება, გათვალისწინება, დაკონკრეტება, ლინკების/ბმულების და გამოყენებული მასალის სწორად მითითება.
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**ესთეტიკური აღზრდა:** • სასურველია, სრულყოფილად გაიწეროს მუსიკაში X კლ. სსსმ მოსწავლის დოკუმენტაცია; • სასურველია, მკაფიოდ გამოიკვეთოს მოსწავლეთა საჭიროებები და შესაბამისად დაიგეგმოს მოკლევადიანი მიზნები, კათედრის ოქმში მკაფიოდ გამოიკვეთოს კათედრის წევრების მიერ გათვალისწინებული დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები;
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** • **დაწყებითი საფეხური-ბუნებისმეტყველება — მე-5 კლასის კურიკულუმი:** პირველლ თემაში -„კოსმოსი“- დავალების პირობა და კონტექსტ მაგალითი თემასთან აცდენილია. მაგ., დავალების პირობაა „ფრინველთა საბინადრო გარემოს მაკეტის შექმნა, განხილვა და გამოფენა“-

		დასაკორექტირებელია, რათა თემას შესაბამისი დავალებები ახლდეს თან. დასაკორექტირებელია ტერმინი „ცნება“. • მე-2 და მე-4 კლასისთვის ფოტომასალის სახით წარმოდგენილია მოსწავლეების მიერ შესრულებული შემოქმედებითი პროდუქტები, სასურველია, თან ახლდეს მოკლე აღწერილობა და შეფასების სქემა. • **საბაზო საფეხური, ბიოლოგია, მე-9 კლასის კურიკულუმი:** სასურველია, მე-3 თემაში დაკონკრეტდეს, რომელ შემოქმედებით პროდუქტს შექმნიან მოსწავლეები. • **ქიმია, მე-8 კლასის კურიკულუმი:** სასურველია, შედეგები დაკორექტირდეს, მაგ., პირველი თემის ბოლო სამიზნე ცნების შედეგების მსგავსად იყოს წარმოდგენილი. • **მე-9 კლასის კურიკულუმი:** სასურველია, შედეგები დაკორექტირდეს და პირველი თემის ბოლო სამიზნე ცნების შედეგების მსგავსად იყოს წარმოდგენილი. • **ფიზიკა, მე-7 კლასის კურიკულუმი:** სასურველია, მე-3 თემაში დაკონკრეტდეს, თუ რომელ შემოქმედებით პროდუქტს შექმნის მოსწავლე. • **მე-8 კლასის კურიკულუმი:** სასურველია, მე-2 თემაში (კონვექციის შესახებ) დაკონკრეტდეს, რომელ შემოქმედებით პროდუქტს შექმნის მოსწავლე. • **საშუალო საფეხური, ბიოლოგია:** მე-12 კლასის კურიკულუმში მე-2 თემის დავალება პირველ თემას შეესაბამება. სასურველია, დავალება თემას შეესაბამებოდეს.

		• **ქიმია, მე-12 კლასის კურიკულუმი:** კურიკულუმში მკაფიოდ არ ჩანს, რომელ შემოქმედებით პროდუქტს შექმნის მოსწავლე, სასურველია დაკონკრეტება. • **ფიზიკა:** საშუალო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ზოგადია და არ არის წარმოდგენილი კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტის შეფასება. სასურველია მეტად დაკონკრეტება. • წარმოდგენილია ფიზიკის შემოქმედებითი დავალებების ფოტომასალა, სასურველია დაკონკრეტდეს, რომელი კლასის მიერაა შესრულებული, მიზანი და რა შედეგს მიაღწევს მოსწავლე აღნიშნული დავალებების შესრულებისას, ასევე, სასურველია, თან ახლდეს შეფასების რუბრიკები. • სასურველია, ზემოთ აღნიშნული რჩევები გათვალისწინებული იქნას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. დოკუმენტაციით, კათედრის ხელმძღვანელთან და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ კათედრას აქვს მომავლის ხედვა, თუ როგორ უნდა მოახდინოს დაგეგმილი აქტივობების/მიღწევების შედეგის ანალიზი. **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** • სასურველია, წარმოდგენილი იყოს ყველა დავალებ შეფასების რუბრიკა. **უცხოური ენები:**

		• სასურველია, უცხოური ენის კათედრამ სამივე საფეხურზე უფრო კონკრეტული და დეტალურად გაწერილი შეფასების რუბრიკები გამოიყენოს, რომლებიც ეფუძნება სამიზნე ცნებებსა და მათთან დაკავშირებულ სწავლის შედეგებს. **ესთეტიკური აღზრდა:** • სასურველია, კათედრაზე, დაწყებითი და საბაზო საფეხურზე, შეიქმნას: განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კურიკულუმში გაწერილი თემების ფარგლებში - სამიზნე ცნების, მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით, შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით. სასურველია, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში V-VI კლასიდან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნისას გაითვალისწინოთ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა ცნება - 1. სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები), 2. სახვითი ხელოვნების ტექნიკა, 3. სახვითი ხელოვნების დარგები, 4. ჟანრები, 5. სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები. • სასურველია პროექტული სწავლების (X-XI კლ.) ფასილიტაციის და აქტიური მონიტორინგის შედეგები კონკრეტულად აისახოს შესაბამისი სავალდებულო

		პროექტის მიმდინარე და შემაჯამებელ შეფასების რუბრიკებში. **მათემატიკა:** • სკოლის მიერ წარმოდგენილ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს აკლია აკადემიურობა, რაც გულისხმობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული რუბრიკების გამოყენებას, რომელთა გაცნობაც მოსწავლეებს უვითარებს მეტაკოგნიტურ უნარებს, ხოლო მასწავლებელს საშუალებას აძლევს, ობიექტურად შეაფასოს მოსწავლის ცოდნა და უნარები. • სასურველია, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები წარმოდგენილი იყოს მესამე თაობის ესგ-თი განსაზღვრული რუბრიკების შესაბამისად. **სპორტი:** • სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურზე შეფასების რუბრიკები შეადგინონ კურიკულუმში შეტანილი ყველა თემის მიხედვით. **ტექნოლოგიები:** • შეიქმნას კონკრეტულ თემაზე /საკითხზე სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

ინდიკატორი N 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**ესთეტიკური აღზრდა:** • **საშუალო საფეხურზე** წარმოდგენილი დოკუმენტი წარმოადგენს სავალდებულო პროექტების ჩამონათვალს (და არა არჩეულს) სტანდარტიდან. სასურველია, დაზუსტდეს- რომელი ტიპის პროექტს ირჩევს მოსწავლე/მოსწავლეთა ჯგუფი/სკოლა და რა თანმიმდევრობით. • მუსიკა - საშუალო საფეხურზე (პროექტი) საგანი ისწავლება სავალდებულო პროექტების სახით, თითოეულ პროექტზე მუშაობა მიმდინარეობს 1 სემესტრის განმავლობაში. საგანში უნდა განხორციელდეს 2 პროექტი. • სასურველია კათედრამ წლის ბოლოს დაგეგმოს კურიკულუმის ანალიზი და სამუშაო პროცესის გაანალიზების და შედეგების შეჯამების შემდეგ, პროცესში წარმოშობილი წინააღმდეგობების შესაბამისად, ცვლილებები შეიტანოს კურიკულუმში.
ინდიკატორი N 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**ესთეტიკური აღზრდა:** • სასურველია, მუსიკის საგანში შეიქმნას: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კურიკულუმში გაწერილი თემების ფარგლებში სამიზნე ცნების, მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით. • სასურველია, პროექტული სწავლების (X-XI კლ.) ფასილიტაციის, პროცესის ამსახველი და აქტიური მონიტორინგის შედეგები კონკრეტულად აისახოს შეფასების რუბრიკებში. დაკონკრეტდეს შეფასების კომპონენტები - ჩანდეს სამიზნე ცნებები, საგნის სტანდარტის მისაღწევი შედეგები.

		მათემატიკა: • სასურველია, მათემატიკის კათედრამ შექმნას შეფასების ისეთი რუბრიკები, რომლებიც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვითაა განსაზღვრული, რაც მათ მეტ აკადემიურობას შესძენს.
ინდიკატორი N 2.2.1.5	სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით	• მიზანშეწონილია, შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების ერთიან ელექტრონულ სივრცეში სრულად ინტეგრაცია, რაც ხელს შეუწყობს ინფორმაციის მართვის ეფექტიანობასა და ხელმისაწვდომობას.
ინდიკატორი N 2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**უცხოური ენები:** • სამივე საფეხურზე, კურიკულუმის სრულყოფის მიზნით, სასურველია უცხოური ენის კათედრამ უფრო დეტალურად და სისტემურად ასახოს ის დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რომელთა გამოყენებაზეც მასწავლებლებმა გასაუბრებისას ისაუბრეს. აღნიშნული რესურსების კურიკულუმში ასახვა ხელს შეუწყობს მათ მიზნობრივად და თანმიმდევრულად გამოყენებას, გააძლიერებს სასწავლო პროცესის დაგეგმვის ხარისხს და უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პრაქტიკის მეტ გამჭვირვალობასა და ერთიანობას. ასევე, ეს პრაქტიკა დაეხმარება სხვა პედაგოგებს მოახდინონ აღნიშნული რესურსების ეფექტიანად ინტეგრირება თავიანთ სწავლა-სწავლების პროცესში.

		მათემატიკა: • სასურველია, კურიკულუმებში მითითებული ბმულების სათაურებში ჩანდეს, თუ რა საკითხს შეეხება ეს რესურსი, რაც გაამარტივებს მოცემული საკითხის შესაბამისი რელევანტური რესურსის პოვნას.
ინდიკატორი N 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** • სასურველია, რექატივებს, დასახელების გარდა ეტიკეტზე ეწეროს, მაგ.: „შხამი“ და, ა.შ. ასევე, სასურველია, კარადა, სადაც აღნიშნული რეაქტივები ინახება, საკეტით იკეტებოდეს.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ინდიკატორი 3.1.2.4

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ცნობები, რითაც დასტურდება ბუღალტრის მონაწილეობა ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-კურსებში,შესაბამისად, ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეიცვალა შეფასებით „დაკმაყოფილებულია“.

ინდიკატორი 3.4.1.1

სკოლამ უზრუნველყო სკოლის ეზოს შემოღობვა .შესაბამისად ,ინდიკატორის შეფასება „ არ არის დაკმაყოფილებული“ შეიცვალა შეფასებით „დაკმაყოფილებულია“.

ინდიკატორი 3.4.1.2

სკოლამ უზრუნველყო სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენა- სკოლის სამედიცინო კაბინეტი აღჭურვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-41/ნ-ის შესაბამისად, გამოყო კომპიუტერი სამედიცინო ოთახისათვის, შესაბამისად ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეიცვალა შეფასებით“დაკმაყოფილებულია”.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**
   სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ბერეთისის სკოლის მისიაა:ჯანსაღ, უსაფრთხო და პოზიტიურ სასკოლო გარემოში ხარისხიანი განათლებითა და საზოგადოებრივი მეცნიერებების გაძლიერებული სწავლების მხარდაჭერით აღზარდოს კონკურენტუნარიანი, გლობალური მოქალაქეები.

   ხედვა: ქვედა ბერეთისის საჯარო სკოლა, უახლოესი ათწლეულების განმავლობაში შეძლებს მოსწავლეთა აღჭურვას 21-ე საუკუნის კომპეტენციებითა და გლობალურ-ფუნქციური უნარებით, რასაც მივაღწევთ ინოვაციური და ტრადიციული სწავლების მეთოდებით, სტრატეგიებითა და მიდგომებით. კურსდამთავრებულები მეტაკოგნიციის საშუალებით შეძლებენ განათლების უწყვეტ პროცესში ორგანულ ჩართვას, რითაც თავს დაიმკვიდრებენ შრომის ბაზარზე, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიო მასშტაბით.

   ღირებულებები:

   1. თანამშრომლობა;
   2. გუნდურობა;
   3. გამჭირვალობა;
   4. დემოკრატია;
   5. ობიექტურობა;
   6. განვითარება და ინოვაციურობა.

სკოლის მისია და ხედვა სრულ თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, რაც გამოიხატება ორიენტირებით ისეთი მოქალაქის აღზრდაზე, რომელიც აღჭურვილია 21-ე საუკუნის კომპეტენციებითა და გლობალურ-ფუნქციური უნარებით. სკოლა თავის ფუნქციას საგანმანათლებლო სივრცეში ხედავს, როგორც საზოგადოებრივი

მეცნიერებების გაძლიერებული სწავლების მხარდამჭერი ინსტიტუცია. ხედვაში გაწერილია მეთოდოლოგიური მრავალფეროვნება (ინოვაციური და ტრადიციული მეთოდების სინთეზი), რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას და მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას.სკოლა საზოგადოებრივ როლს განსაზღვრავს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებით, რომლებიც შეძლებენ თვითრეალიზებას როგორც ლოკალურ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა ორიენტირებულია არა მხოლოდ აკადემიურ შედეგზე, არამედ კურსდამთავრებულთა სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციაზე.

სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება დემოკრატიულ პრინციპებს, გამჭვირვალობასა და გუნდურობას. აღნიშნული ღირებულებები სკოლას წარმოაჩენს, როგორც პოზიტიურ და უსაფრთხო სოციალურ ჰაბს, სადაც დაცულია ობიექტურობა და ორიენტირი მუდმივ განვითარებაზეა აღებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ბერეთისის საჯარო სკოლის სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზი ცხადყოფს, რომ დაწესებულებას საკუთარი როლი გააზრებული აქვს არა მხოლოდ როგორც საგანმანათლებლო ერთეულის, არამედ როგორც მრავალფუნქციური სოციო-კულტურული სივრცის. აღნიშნული დასტურდება შემდეგი გარემოებებით: სკოლის მისიაში ჩანს ორიენტირება **„ჯანსაღ, უსაფრთხო და პოზიტიურ სასკოლო გარემოზე“**. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა პრიორიტეტად მიიჩნევს მოსწავლისა და სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ფიზიკურ და ემოციურ უსაფრთხოებას, რაც ეფექტური სასწავლო პროცესის საფუძველია.სკოლის ხედვა ორიენტირებულია , **აღჭურვოს** მოსწავლე **21-ე საუკუნის კომპეტენციებითა და გლობალურ-ფუნქციური უნარებით**. სკოლა ქმნის სივრცეს, სადაც ხდება არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის გადაცემა, არამედ პიროვნული ზრდის ხელშეწყობა **მეტაკოგნიტური უნარების** განვითარების გზით, რაც მოსწავლეს თვითრეალიზებისა და უწყვეტი განათლების შესაძლებლობას აძლევს. **თანამშრომლობა, გუნდურობა, დემოკრატია და ობიექტურობა** — ქმნის მყარ სოციო-კულტურულ საფუძველს. ეს პრინციპები უზრუნველყოფს სკოლაში ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ კულტურას, სადაც სოციალური ურთიერთობები გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპით იმართება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის დაგეგმარების ჯგუფის ანგარიში, საიდანაც იკვეთება, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ცვლილების საფუძველი გახდა ის, რომ გეგმები არ პასუხობდა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მოთხოვნებს და საჭიროებდა ცვლილებას. სკოლაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეთა თვითმმართველობის და თემის წარმომადგენლები(ბრძანება N2-05/21.01.2026 წელი).სკოლამ წარმოადგინა ოქმი (N1 20.01.2026 წელი)სადაც ჩანს, რომ სასკოლო საზოგადოებამ განიხილა სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით , გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.
პროექტის შემუშავების შემდეგ მოხდა მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება სკოლის ვებგვერდზე, სოციალურ ქსელში და სასკოლო საზოგადოებასთან, მშობლებთან , დაიტერესებულ პირებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის ფილოსოფიის შემუშავების მეთოდოლოგიით (თავი 6) გათვალისწინებულია ინფორმაციის გაზიარების მექანიზმები:
ა) სკოლის ვებგვერდი;
ბ) ელექტრონული ფოსტა;
გ) დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა;
დ) პორტალი ვებგვერდზე;
ე) სოციალური მედია;
ვ) საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან;
სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს ფილოსოფიის გაზიარებას, კერძოდ: სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. ამასთანავე, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც შემუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ, განიხილეს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, რაც დასტურდება შესაბამისი სხდომის ოქმით (ოქმიN1). დოკუმენტი დამტკიცდა სამეურვეო საბჭოს სხდომაზე (20 იანვარი 2026 წ. ოქმი #1) რაც ადასტურებს იმას, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებული და მიღებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის დერეფანში თვალსაჩინო ადგილას, ასევე განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე. სკოლის დირექტორი და დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში პირველივე შეხვედრისას მშობლებს აცნობენ სკოლის პრიორიტეტულ მიმართულებებს. შესაბამისად, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაღვრულია : სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ბერეთისის საჯარო სკოლა.(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის # 60/ნ ბრძანება)შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (26 იანვრის ბრძანება# 2-05.)
- • მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი (დანართი 4. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა 2025-2032). • სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები
- სამუშაო ჯგუფ. ხელმძღვანელის ანგარიში,
- დანართი 3. სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრის ოქმი #1 7 წლიანი და 1 წლიანის განხილვა)

• პუბლიკაციები სოციალურ მედიასა და „ახალ განათლებაში“(დანართი 18. ახალი განათლების ხელშეკრულება)

• სახელის მინიჭების ბრძანება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**
   სკოლამ 2026 წლის 20 იანვარს N2-04 ბრძანებით დაამტკიცა სოფელ ბერეთისის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი.
   სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგია, მოიცავს მისიის, ხედვისა და ღირებულებების განსაზღვრას, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ეტაპობრივ შემუშავებას, მონიტორინგსა და შეფასებას. პროცესში აქტიურად არიან ჩართული სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლები – დირექცია, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები, რაც უზრუნველყოფს მათი პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას. ამასთან, უკუკავშირის მიღებისა და SWOT ანალიზის მეშვეობით გეგმები ეფუძნება საზოგადოების საჭიროებებს, რაც ასახავს მეთოდოლოგიის მონაწილეობით, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულებაზე ორიენტირებულ ხასიათს. საბოლოო სახით ჩამოყალიბებულ სტრატეგიულ გეგმა დაამტკიცა სკოლის სამეურვეო საბჭომ, რის შემდეგაც მოხდა მისი გასაჯაროება სკოლის ვებ გვერდზე, სადაც სასკოლო საზოგადოებას კიდევ ერთხელ მიეცა საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების საშუალება. ამრიგად, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.
   რჩევა:სასურველია, სკოლამ სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში განსაზღვროს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესზე პასუხისმგებელი პირი/ პოზიცია.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლას შემუშავებული აქვს 7-წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს; აღნიშნული დოკუმენტი შემუშავდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, კერძოდ, სამუშაო ჯგუფის მიერ. განხილულ იქნა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დამტკიცდა სამეურვეო საბჭოს მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლას აქვს შემუშავებული სამოქმედო გეგმა, რომელიც არის ერთწლიანი(დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ ოქმი # 6 20 იანვარი,2026 წელი). სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას, SWOT-ანალიზს. ერთწლიანი გეგმა სტრატეგიული გეგმის პრაქტიკული რეალიზაციის ინსტრუმენტია, რომელიც მუდმივად იკვეხება შიდა მონიტორინგისა და თვითშეფასების მონაცემებით.

სკოლის მიერ გადმოგზავნილ მასალაში გამოიკვეთა შეუსაბამობა, კერძოდ,დოკუმენტის სატიტულო გვერდზე ეწერა, რომ სტრატეგიული გეგმა განიხილეს 2026 წლის 20 იანვარს (ოქმი #1), თუმცა თავად გეგმის მოქმედების პერიოდად მითითებული იყო 2025-2032 წლები.

იგივე შეუსაბამობა იკვეთებოდა სამოქმედო გეგმაშიც— დოკუმენტი დამტკიცებული იყო 2026 წლის 20 იანვარს, მაგრამ ეხებოდა 2025-2026 სასწავლო წელს.

ვიზიტის დროს,სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად გაირკვა,რომ სკოლას ჰქონდა ტექნიკური ხარვეზი ვადებთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ,მისიის,ხედვის ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის საფუძველზე (მუხლი 11) შეიტანა ცვლილება სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში (23.04.2026 წელი) და სტრატეგიული გეგმის მოქმედების ვადად განსაზღვრა 2026-2033 წელი, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ვადად კი 2026-2027 წელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

   სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2026-2027 წლისათვის. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 6- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
- 2026-2033 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2026-2027 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

   სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მკაფიოდ გაწერილ მექანიზმებს: სკოლა სამოქმედო გეგმის მონიტორინგს ახორციელებს წელიწადში ორჯერ. წლის ბოლოს წარადგენს შესრულების ანგარიშს, ხოლო ყოველ 2 წელიწადში - სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშს და უზრუნველყოფს მის საჯაროობას სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნებით.

   მონიტორინგი გულისხმობს მონაცემების შეგროვებას აქტივობების შესრულების სტატუსზე, მტკიცებულებების წარმოდგენას, ხოლო შეფასება – ამ მონაცემების ანალიზსა და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას.

   ამასთან, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, პროცესის დეტალური აღწერა და ანგარიშგების ვალდებულება, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი მიზნების მიღწევის პროგრესის სისტემურ და ობიექტურ შეფასებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

   სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სკოლა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორგს განახორციელეებს წელიწადში ორჯერ, ხოლო სტრატეგიული გეგმის მონიტორინგს მისი მოქმედების განმავლობაში ორჯერ, რადგან სკოლამ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები დაამტკიცა 2026 წლის 20 იანვარს (ოქმი N6), ცვლილება შეიტანა 2026 წლის 24 აპრილს ,შესაბამისად, ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების ანგარიში პირველადი ავტორიზაციის პრინციპებიდან გამომდინარე.

   ინდიკატორი ვერ შეფასდა

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

   სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას და **ინდიკატორი 1.2.2.3 ვერ შეფასდა.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

   სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას და **ინდიკატორი 1.2.2.4 ვერ შეფასდა**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია. (დანართი 6. სტრატეგ. დაგეგმარ. მეთოდოლოგიის დოკუმენტი)

• 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა; (დანართი 4. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა 2025-2032)

• 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;(დანართი 5. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**
   სსიპ- ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ბერეთისის საჯარო სკოლაში მოქმედი კანონმდებლობისა და საშტატო განრიგის შესაბამისად არსებობს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი.
   სკოლის დირექცია - დირექტორი, ბუღალტერი;
   ადმინისტრაცია - საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი
   შტატგარეშე ერთეულები: 2 დამლაგებელი, 2 დარაჯი, ექთანი.
   სკოლას შემუშავებული აქვს(2026 წლის 26 იანვრის ბრძანებაN 2-06_)სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ბერეთისის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**
   სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში მიმდინარე პროცესების დაგეგმვის, განხორცილების, მონიტორინგისა და შეფასების, გადახედვისა და რევიზიის ეტაპებს. დასაქმებულებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;(დანართი 2-10 .
- საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსისი გამოცხადების შესახებ ბრძანებები;(დანართი 11. კონკურსის გამოცხადების წესის და კომისიის შემადგენლობის დამტკიცება).
- საკონკურსო კომისიის შედეგების ოქმი; (დანართი 12. კონკურსის ოქმი #2).
- თანამშრომლეთა პირადი საქმეები;(დანართი 15. ნაზიბროლა სისვაძე).
- შრომითი ხელშეკრულებები; (დანართი 9. შრომითი ხელშეკრულება).
- eschool ბაზის მონაცემები; (დანართი 13. ემისის ამონაწერი).
- სკოლის შინაგანაწესი.(დანართი 32. სამეურვ. ოქმი # 7 შინაგანაწესის დამტკ.)

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

   სკოლაში დამტკიცებულია ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი''(2026 წლის 29 იანვრის ბრძანება # 2-10) რომლის მიზანია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკის ამოცანებია: დაწესებულების სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ხელშეწყობა. დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება, დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. პერსონალის მართვის გარკვეული წესები და პირობები რეგულირდება ასევე სკოლის შინაგანაწესით (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ 2026 წლის 23 იანვრის ოქმი #7)რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის ნორმებსა და წესებს. სკოლის შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი დასტურდება ხელმოწერით.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

ბერეთისის საჯარო სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. სკოლის საკადრო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია დასაქმებული პირების საქმიანობის შეფასება, რაც ითვალისწინებს პერსონალის საჭიროების და შესაძლებლობების გამოვლენას.სირთულეების დროულ იდენტიფიცირებას და მოგვარების პრევენციული გზების დასახვას. სკოლის პედაგოგების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გადამზადების მიზნით სკოლა პერსონალს სთავაზობს განვითარებაზე ორიენტირებულ ტრენინგებს და საკონსულტაციო შეხვედრებს. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დირექცია აანალიზებს მომავალი სასწავლო წლისთვის რა პოზიციაზე შეიძლება დასჭირდეს კადრების შერჩევა და წინასწარ აცხადებს კონკურსს. ამ რეგულაციით სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებისთვის მყისიერი ზომების მიღებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო სკოლის პერსონალის პირად საქმეებს დაკავებული პოზიციების მიხედვით. ექსპერტების მიერ გადამოწმდა სკოლის ბაზაში არსებული თანამშრომლების მონაცემები. შედეგად დადგინდა, რომ ყველა დასაქმებულს აქვს ცნობა ნასამართლეობის და ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ, ხოლო 2020 წლის მაისის შემდეგ სკოლაში დასაქმებული ყველა პირის პირად საქმეში განთავსებულია სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა.

ექსპერტებმა ადგილზე ვიზიტის დროს დაათვალიერეს სკოლის საკონკურსო დოკუმენტაცია, რომლითაც დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დასაქმებულია 30 თანამშრომელი. აქედან 20 მასწავლებელი, მათ შორის 2 წამყვანი და 18 უფროსის სტატუსის.სკოლას შემუშავებული აქვს დასაქმებულ პირთა კავალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი (დირექტორის 2026 წლის 29 იანვრის N2-18 ბრძანების შესაბამისად.) ვიზიტის მიმდინარეობისას, განხილულ იქნა სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Eschool) პერსონალის, მათ შორის, პედაგოგების მონაცემები. გარდა ამისა, გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები. დასტურდება, რომ

თანამშრომელთა კვალიფიკაცია ძირითად შემთხვევაში შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

დაწყებითი კლასების მასწავლებლებს შეთავსებული აქვთ მუსიკისა და ხელოვნების საათები. სკოლამ გაიზიარა ავტორიზაციის ექსპერტა რჩევა და 23.04.2026 წელს გამოაცხადა შიდა კონკურსი მუსიკისა და ხელოვნების ვაკანტურ თანამდებობაზე (ბრძანება N2-43).

სკოლამ წარმოადგინა ფინანსთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-კურსებში ბუღალტრის მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სტრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. თანამშრომლები იკრიბებიან სამუშაო შეხვედრებზე. კათედრებს სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული აქვთ სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ სხვადასხვა საკითხს. სკოლაში ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიება, რომელთა დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გამოიკვეთა დასაქმებულთა ორგანიზაციული კულტურა და გუნდური მუშაობა. მასწავლებლებთან ექსპერტების გასაუბრებისას გამოიკვეთა მონაწილოებითი და გუნდური მუშაობის პრაქტიკა სკოლაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია წარმატებული პრაქტიკის აღიარების სხვადასხვა მექანიზმი. ადამიანურის რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს წახალისების მექანიზმებს. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი იყო წარმატებული პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება. სკოლა გარკვეული პერიოდულობით ატარებს მასწავლებელთა საჭიროებების კვლევას, კვლევის შედეგების ანალიზის საფუძვლზე წარმართავს შემდგომ საქმიანობას. კერძოდ, ხდება თანამშრომელთა საუკეთესო გამოცდილების გაზიარება სკოლის ბაზაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;(დანართი 2-10 .ადამიანური რესურსების მართვის პოლიტ.)
- საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსისი გამოცხადების შესახებ ბრძანებები;(დანართი 11. კონკურსის გამოცხადების წესის და კომისიის შემადგენლობის დამტკიცება).
- საკონკურსო კომისიის შედეგების ოქმი; (დანართი 12. კონკურსის ოქმი #2).
- თანამშრომლეთა პირადი საქმეები;(დანართი 15. ნაზიბროლა სისვაძე).
- შრომითი ხელშეკრულებები; (დანართი 9. შრომითი ხელშეკრულება).
- eschool ბაზის მონაცემები; (დანართი 13. ემისის ამონაწერი).
- სკოლის შინაგანაწესი.(დანართი 32. სამეურვ. ოქმი # 7 შინაგანაწესის დამტკ.)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

   სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში მუხლი 20 ეთმობა „თანამშრომელთა პორიფესიულ და კარიერულ განვითარებას“, სადაც გაწერილია პერსონალის შეფასების ძირითადი მიზნები და პროცედურები. პერსონალის

მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიულ განვითარებას, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აისახება შესაბამისი აქტივობები და საჭირო ბიუჯეტი.

სოფელ ბერეთისის საჯარო სკოლაში პროცესების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმები ხორციელდება სკოლის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც გამოიყენება სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარებისთვის.

სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული 28.01.2026 წელი N2-08. სკოლაში იმართება კონსულტაციები და სადისკუსიო შეხვედრები; სკოლა ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით ახორციელებს დასაქმებულ პირთა შეფასებას. სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება).ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და ხარისხის მართვის ჯგუფის დებულებით დასტურდება, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, თანამშრომელთა საქმიანობის შეფასება წარმოადგენს სკოლის საკადრო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს, შეფასების შედეგების საფუძველზე გამოვლენილი საჭიროებების შემდეგ ხდება პერსონალის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა. კერძოდ, პროფესიული განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგებისა და საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება, სხვადასხვა ტრენინგებზე, სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, დასაქმებულს სკოლაში ეძლევა კარიერული წინსვლის საშუალება, კერძოდ, საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე პერსონალს ეძლევა დაწინაურების შესაძლებლობა. სკოლაში არსებული მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ეხმარება მასწავლებლებს პროფესიულ ზრდაში. კერძოდ, მასწავლებლები თვითშეფასების საფუძველზე გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასავითარებლად,

ხარისხის ჯგუფის დახმარებით, გეგმავენ თავიანთ პროფესიულ განვითარებას. მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით განსაზღვრულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის და კარიერული წინსვლისთვის საჭირო აქტივობები: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება და მასწავლებელთა საჭიროებების მიხედვით გადამზადების უზრუნველყოფა. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის და მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების გაცნობა გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს ახალი თანამშრომლის სოციალიზაციას, რომელშიც გაწერილია ყველა ის აქტივობა, რომელსაც ახორციელებს სკოლა მათი ადაპტაციისთვის. პირველ რიგში, ახალ თანამშრომელს აცნობენ სასკოლო კურლტურას, გარემოს, იმ დაწერილ და დაუწერელ წესებს, რომლებიც მოქმედებს სკოლაში. შემდგომ ხდება ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებისა და ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა, სასკოლო საზოგადოებისთვის წარდგენა და სკოლის თუ კათედრების დახურულ ჯგუფებში გაწევრიანება. აღნიშნულ დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია კათედრების, დირექციისა და ადმინისტრაციის როლებსა და ფუნქცია-მოვალეობებზე ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესში. სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუსა და წარმოდგენილ დოკუმენტზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა ხელს უწყობს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და სკოლის შინაგანაწესით წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. კერძოდ, შეფასების შედეგების შესაბამისად განსაზღვრულია თანამშრომლის წახალისების ფორმები: პრემია, მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

• სკოლის შინაგანაწესი;

• პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;

• მასწავლებელთა საჭიროების მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის დოკუმენტი. (დანართი 16. მასწავლებელთა საჭიროების კვლევა.)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

   სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (2026 წლის 29 იანვარი ,ბრძანება N2-11) რომლითაც გათვალისწინებულია ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმების განხორციელება. განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, მისი ვალდებულებები, აღწერილია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის შეფასება.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებული

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლის შინაგანაწესში, სასკოლო სასწავლო გეგმაში, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში და სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტში აღწერილია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლის მმართველობით პროცესში მოიაზრება:

ა) სტრატეგიული დაგეგმვა;

ბ) წლიური დაგეგმვა;

გ) ხარისხის უზრუნველყოფა.

სკოლის ძირითადი პროცესებია: ა) კურიკულუმის განვითარება; ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. ხოლო დამხმარე პროცესები ხელს უწყობს ძირითადი პროცესების წარმართვას - სასწავლო პროცესის სრულფასოვან განხორციელებას. ასევე განსაზღვრულია ამ პროცესების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლამ წარმოადგინა სსიპ-ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ბერეთისის საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება.სკოლის მიერ შემუშავებული შინაგანაწესი ითვალისწინებს დასაქმებულთა და მოსწავლეთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში დისციპლინური გადაცდომების განხილვას სკოლის დირექტორისათვის მიმართვის პროცედურით. სკოლაში არსებობს დისციპლინური კომიტეტი(ოქმი N2. 15.10.2025 წელი) სკოლის დირექტორის .2026 29 იანვრის #2-14 ბრძანებით დამტკიცებულია განცხადებებისა და საჩივრის განხილვის წესი, სადაც თავი IV, მუხლი 11 ეთმობა მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა საჩივრის განხილვის წესს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლას აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის წესი. სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს ასევე სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია სკოლის შიდა რეგულაციები, სკოლის ტერიტორიაზე ქცევის ზოგადი წესები, დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და მათზე რეაგირების მექანიზმები. შინაგანაწესში ცალკეა გაწერილი მასწავლებლის დისციპლინური წარმოების წესი, ცალკეა - მოსწავლის მიმართ დისციპლინური წარმოება.

თანამშრომელთა უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ხოლო მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას_შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობის მიზნით. თანამშრომლები უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციას იღებენ ხელშეკრულების პირობების, სკოლის შინაგანაწესის გაცნობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დისციპლინური კომიტეტის ოქმები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- საჩივრების განხილვის წესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

   სკოლის მიერ სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხდება სხვადასხვა საშუალებით. სკოლის ფოიეში გამოკრულია შინაგანაწესი. სკოლას აქვს ვებგვერდი, სოციალური ქსელი, სადაც თავსდება სხვადასხვა სახის ინფორმაცია. ძირითადად ინფორმირება ხდება უშუალო კონტაქტით. სასწავლო წლის განმავლობაში დამრიგებლები მართავენ მშობელთა კრებებს, სადაც აცნობენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ მარეგულირებელ დოკუმენტებს, სასკოლო სასწავლო გეგმას, შინაგანაწესს, აწვდიან ინფორმაციას სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების, პროექტებისა და ექსკურსიების შესახებ, იხილავენ სასწავლო პროცესში წამოჭრილ პრობლემებს და სთავაზობენ პრობლემის გადაჭრის გზებს. ყოველივე ზემოთ აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოსა და მშობელთა კრების ოქმებით.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

   ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობას სკოლის მართვაში.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგიური საბჭოს ოქმები სამეურვეო საბჭოს ოქმები
- დისციპლინური კომიტეტის ოქმები
- სკოლის ფეისბუქ -გვერდი და მესენჯერ-ჯგუფები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლას დამტკიცებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი და განსაზღვრული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნები:
ა) ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება;
ბ)სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;
გ) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება;
დ) ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა.
დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც რეგულარულად განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის საკითხებს.
სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა შესვლა და გასვლა კონტროლდება მორიგე მასწავლებლების მიერ. სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა გადადგილებაზე პასუხისმგებელია სკოლის დარაჯი.

სკოლამ 2026 წლის 21 აპრილს გააფორმა ხელშეკრულება შ.პ.ს. „სახანძრო უსაფრთხოება +++“- ხანძარსაწინააღმდეგო მომსახურების გაწევის მიზნით, რაც მოიცავს სკოლაში გახმოვანების მონტჟს ,cpv,სხვენის დამუშავებას ხანზარსაწინააღმდეგო ხსნარით.
სკოლას არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

სკოლამ (21.01.2016 წელს) მიმართა შესაბამის უწყებას სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ შემოწმების განხორციელების თაობაზე.

სკოლას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან აქვს შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა(06.02.2026 წელი).

რეკომენდაცია

- **სკოლამ მიიღო რეკომენდაცია,შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (21.01.1021 წელს-25.05.202 წელი) წარმოადგინოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.**

- **სკოლამ მიიღო რეკომენდაცია,შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (21.01.2026 წელი-30.06.2026 წელი) წარმოადგინოს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.**
- **სკოლამ მიიღო რეკომენდაცია,შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (8.05.2026-31.12.2026 წელი)უზრუნველყოს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის აღჭურვა ვიდეო-სათვალთვალო კამერებით.**

რჩევა: სასურველია, სასწავლო წლის ბოლომდე სკოლამ აიყვანოს/ დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სკოლის ექთნის კაბინეტი. სკოლაში დასაქმებულია ექთანი, რომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნა შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ექთნის კაბინეტი აღჭურვილია საჭირო სამედიცინო ინვენტარით, თუმცა არ არის კომპიუტერი.ექთანთან ინტერვიუთი დადასტურდა, რომ იგი ახორციელებს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ყველა ღონისძიებას. მოსწავლის მიმართვის შემთხვევაში, ექთანი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამის დახმარებას და ინფორმაციას აწვდის მშობელს/კანონიერი წარმომადგენელს დამრიგებლის დახმარებით. საჭიროების შემთხვევაში იძახებს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას. სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა დადასტურდა მოსწავლეებთან, მშობლებთან და თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუებითაც.

სკოლამ უზრუნველყო სამედიცინო კაბინეტის აღჭურვა კომპიუტერით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-41/ნ-ის შესაბამისად .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი(14.11.2025 წელი ბრძანება N2-27). შინაგანაწესით რეგულირდება სკოლაში დისციპლინური საკითხები. სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის ტერიტორიაზე, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. კონტროლდება სკოლის

ტერიტორიაზე უცხო პირთა გადაადგილება დარაჯის მიერ. დამრიგებლის დებულების თანახმად, დამრიგებელი უზრუნველყოფს თავისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების გაცდენების კონტროლს და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მორიგე მასწავლებელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას. კერძოდ, სასკოლო კურიკულუმი და არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები, საგნობრივი კურიკულუმებით დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, სკოლის სადამრიგებლო პროგრამით გათვალისწინებულია თემები მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. სკოლაში საზიარო სივრცეების არსებობა მოსწავლეებს ეხმარება სოციალიზაციის პროცესში.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. რისთვისაც შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტში გაწერილია მუხლი 9. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები).
სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლას ჰყავს 2 დამლაგებელი, 2 დარაჯი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში, რომელზეც პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი. სკოლის შენობის პირველ სართულზე არის გამიჯნული სველი წერტილები, ცალკე ბიჭების და ცალკე გოგონებისთვის და პერსონალისთვის. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სველი წერტილები უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას შემუშავებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის და მონიტორინგის მექანიზმების“ შესაბამისად(ბრძანება N 2-20 29.01.2026 წელი). აღნიშნული წესი და მექნიზმები მოიცავს: მონაცემთა დაცვის პრინციპებს, პერსონალური მონაცემების დამუშავებას, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნებს, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვას ელექტრონული პროგრამის (Teams) გამოყენებისა და ელექტრონული ჟურნალის წარმოების შემთხვევაში, მონაცემების დაცვა ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას, ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენებისას, მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმისა და ელექტრონული ბაზის წარმოებისას. განსაზღვრულია

მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილება. განსაზღვრულია მონაცემთა დაცვის მონიტორინგის მექანიზმები. სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა და დასაქმებულ პირთა მონაცემების დამუშავებას აღნიშნული წესის შესაბამისად. სკოლას დანიშნული ჰყავს ბრძანებით დატკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი (საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელი), რომელიც საჭიროებიდან გამომდინარე უწევს სკოლებს მხარდაჭერას. სკოლაში რეგისტრაციის დღიდან იწყება მოსწავლეთა მონაცემების დამუშავება და გრძელდება მთელი სასწავლო ცხოვრების მანძილზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლას აქვს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. კერძოდ, სკოლის მიერ შემუშავებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და აღრიცხვის დოკუმენტი. გაწერილია მონაცემთა დაცვის მონიტორინგის ფორმები, სკოლის ვალდებულებაა უზრუნველყოს არსებული მონაცემების დაცვა შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე დაიცვას ელექტრონული ინფორმაცია არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის, რაზეც საუბარია სკოლის დირექტორის ანგარიშში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;

- დამლაგებლებთან გაფორმული ხელშეკრულები;
- დარაჯთან გაფორმებული ხელშკრულებით;
- პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმების დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**
   სოფელ ქვედა ბერეთისის სკოლას აქვს 16001,00 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით 1-ელი და მე-2 სართულის საერთო ფართი 2395,6 კვ.მ.სკოლაში არის საკლასო ოთახები (სულ 12), ადმინისტრაციული სივრცეები, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, სპორტული დარბაზი, გარე მოედანი. საკლასო ოთახები აღჭურვილია სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინვენტარით (მერხები, დაფები). სკოლის პირველ და მეორე სართულზე არის სველი წერტილები, ექთნის კაბინეტი, სააქტო დარბაზი, რესურსოთახი, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, საქმისწარმოების ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურული რესურსები სრულად არ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნას, კერძოდ სკოლას არ აქვს ბუნებისმეტყველების ლაბორატორია. ლაბორატორიის არარსებობა ზღუდავს მოსწავლეთა შესაძლებლობას, პრაქტიკულად განახორციელონ კვლევითი და ექსპერიმენტული საქმიანობები.სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების ვადად მიუთითა 15.01.2026 -31.12.2026 წელი.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი**

ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესით განსაზღვრულია (დირექტორის - ბრძანებით 2026 წლის 4 თებერვალი ბრძანება # 2-22) სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი როგორ გამოიყენონ მოსწავლეებმა სხვადასხვა აქტივობების ჩატარებისა და დასვენებისათვის. სკოლაში არის საერთო სარგებლობის შემდეგი სივრცეები: კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა. სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი (რესურსოთახი) და სამასწავლებლო. სკოლას შემუშავებული აქვს საზიარო სივრცეებით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს საზიარო სამუშაო სივრცეების გამოყენების წესებსა და პირობებს .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლის მიხედვითაც დარეგულირებულია ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალური რესურსების აღრიცხვა/დამუშავების, სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ საბიბლიოთეკო სერვისისა და მასში განთავსებული ლიტერატურის გამოყენების ხელმისაწვდომობის საკითხები. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი და აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს,

რჩევა: სკოლამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკის აღჭურვა პრინტერითა და კომპიუტერით, რათა ხელი შეეწყოს საბიბლიოთეკო სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლაში ირიცხება 3 სსსმ მოსწავლე. სკოლის შენობა, ღია სივრცე და ინვენტარი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის გადაადგილება და ხემისაწვდომობა კურიკულუმით განსაზღვრულ სივრცეებთან უზრუნველყოფილი იყოს. სკოლის შენობა არის ორსართულიანი სკოლას აქვს პანდუსი, საპირფარეშო არაა ადაპტირებული, კომპიუტერული ლაბორატორია არის მე-2 სართულზე. შეზღუდულია სსსმ მოსწავლის გადაადგილება.

რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (8.05.2026-31.12.2026 წელი) უზრუნველყოს ადაპტირებუილი სველი წერტილის და შიდა პანდუსის მოწყობა მე-2 სართულზე არსებული სივრცეებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის სივრცეში არის სარეკრეაციო ზონები და თავისუფალი სივრცეები სხვადასხვა შემეცნებითი და სპორტული აქტივობების განსახორციელებლად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

- დასტურდება (მტკიცებულებები):
- დანართი 21. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
- დანართი 2-21ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
- დანართი2- 22. მატერიალური რესურსით სარგებლობის

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

   სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა არ არის ბოლომდე გამართული, სკოლას აქვს უწყვეტი ინტერნეტი, WiFi სისტემა უზრუნველყოფს სკოლის შენობის ინტერნეტით დაფარვას. მასწავლებლები სარგებლობენ სკოლისა და პირადი ლეპტოპებით, ისტ. ლაბორატორიაში არის 5 კომპიუტერი,

   სკოლა სარგებლობს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემით EFLOW და ESCHOOL, რომელსაც იყენებენ როგორც მასწავლებლებთან ან სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, ასევე მესამე პირებთან ურთიერთობისათვის.

რჩევა: სასურველია, სკოლამ აღჭურვოს კომპიუტერული ლაბორატორია ახალი კომპიუტერებით, რადგან ხელი არ შეეშალოს ეროვნული სასაწავლო გეგმით განსაზღვრული პროგრამებით სწავლებას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**
   სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის წესი. კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის სკოლის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

   რჩევა: სასურველია, სკოლამ კომპიუტერულ ლაბორატორიაში გამოაკრას ლაბორატორიით სარგებლობის წესი და განრიგი.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი - ბრძანება დანართი N-56
- სტრატეგიული განვითარების გეგმა (გაწერილია ციფრული განვითარების პუნქტები); დანართი N-27
- საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტები).
- კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის წესი დანართი N-57

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**
   სკოლას აქვს დირექტორის 2-24 ბრძანებით 4.02.2026 წელს დამტკიცებული საქმისწარმოების წესი. საქმისწარმოების ინსტრუქციები შემუშავებულია ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად. იგი არეგულირებს საქმისწარმოების ერთიან წესებს, ელექტრონულ და მატერიალურ დოკუმენტბრუნვის სისტემას. სკოლას აქვს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი საქმისწარმოების წესი, რომელშიც განსაზღვრულია სკოლის მიერ გამოცემული აქტების, კორესპონდენციის, აღრიცხვის პროცედურები. დაწესებულებას საქმისწარმოების წესით ასევე

განსაზღვრული აქვს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა. ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სკოლის კანცელარიაში არსებული დოკუმენტაციის მატერიალური და ელექტრონული წარმოება და დადგინდა, რომ სკოლა იცავს საქმისწარმოების წესებს. სკოლა იყენებს ელექტრონულ სისტემებს (Eflow, eschool, Office 365, ელექტრონული ჟურნალი). საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომელიც ელექტრონულ სისტემაში არეგისტრირებს შემოსულ და გასულ წერილებს, აქვე ხდება ბრძანებების, წერილების, მოხსენებითი ბარათების აღრიცხვა. სკოლაში eSchool-ის სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვისა და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. მოცემული სისტემა გამოიყენება მასწავლებლებთან, რესურსცენტრთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან საკომუნიკაციოდ. დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები (ანბანური წიგნი, ბრძანებების წიგნი, ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი)დანომრილია, დირექტორის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძულია. ვიზიტის დროს დადასტურდა სკოლის მიერ თანამშრომელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებაც.

რჩევა :სკოლამ უზრუნველყოს დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალების მთლიანობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლა საქმისწარმოებისთვის იყენებს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას - Eflow - ს. სკოლას აქვს eSchool-ის ერთიანი ბაზის სისტემაც, რომელშიც შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ს სისტემის მეშვეობით. საქმისწარმოების პროცესში სკოლა ასევე აქტიურად იყენებს სამსახურებრივ ელფოსტას. სკოლის თითოეულ თანამშრომელს აქვს მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი საკუთარი ელექტრონული ფოსტა და ინდივიდუალური მომხმარებლის გვერდი eFlow-სა და eSchool-ის ელექტრონულ სისტემაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

სკოლა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახავს ყველა სავალდებულო ინფორმაციას. გააქტიურებული აქვს სოციალურად დაუცველის ველი ყველა ამ სტატუსის მქონე მოსწავლეზე, ასევე გააქტიურებულია მილტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე სსსმ სტატუსის მქონე პირებზე შესაბამისი ველი. ყველა მოსწავლის მშობლის მონაცემი ატვირთულია სისტემაში.

ყველა მასწავლებელს გააქტიურებული აქვს თავისი პროფილი და საჭიროებისა და სურვილის მიხედვით ტვირთავენ თავიანთ პროფილზე შესაბამის დოკუმენტებს შესაბამის ველებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლის საქმისმწარმოებელი შეფერხებით უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. საქმისწარმოების წესის შესაბამისად საქმისმწარმოებელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს დოკუმენტებზე რეაგირების ვადების დაცვას. წარმოდგენილი მასალების დათვალიერებით დგინდება, რომ საქმისმწარმოებლის პროფილი მუშაობს შეფერხებით.

რჩევა: სკოლამ უზრუნველყოს საქმისმწარმოებლის პროფილის გამართული ფუნქციონირება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი (ბრძანება) დანართი N-58
- საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი დანართი N-125
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- შემოსული და გასული კორესპონდენციები;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული პროფილი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

   სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა წესი, რომელშიც ინფორმირებისა და კომუნიკაციის მთავარ ინსტრუმენტებად განსაზღვრულია ელექტრონული ფოსტა და ფეისბუქის გვერდი. აღნიშნული არხებით სკოლა პერიოდულად ავრცელებს ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე და განხორციელებული აქტივობების შესახებ. მასწავლებლებმა ინტერვიუში დაადასტურეს, რომ თანამშრომლებთან საკომუნიკაციოდ გამოიყენება დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში. დამრიგებლებს შექმნილი აქვთ მსგავსი ჯგუფები მშობლებთან კომუნიკაციისთვისაც. აღნიშნული ჯგუფებით ინფორმაციის გავრცელების ეფექტიანობა დაადასტურეს მშობლებმაც. დამატებით საკომუნიკაციო საშუალებებად სკოლა ასევე იყენებს განცხადებების დაფას სკოლის სივრცეში და სატელეფონო კომუნიკაციას. მშობლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით, რომლის საშუალებითაც ისინი ეცნობიან ინფორმაციებს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენის შესახებ. სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდიც, რომელზეც განთავსებული აქვს სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია და დაინტერესებულ პირებს აქვთ საშუალება, გაეცნონ სკოლის სხვადასხვა დოკუმენტს. ვებგვერდისა და სოციალური ქსელის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირად სკოლას განსაზღვრული ჰყავს საქმისმწარმოებელი.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

   სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია სხვადასხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები. ფეისბუქგვერდზე განთავსებულია სასკოლო აქტივობების დამადასტურებელი მასალები და ინფორმაცია კონკურსებში მონაწილეობის შესახებ. ვიზუალური დათვალიერებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

   სკოლას აქვს შემუშავებული საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი. კომუნიკაციისთვის სკოლა იყენებს ელექტრონული ჟურნალებს; მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრებს; ტელეფონს და საინფორმაციო დაფას. სოციალურ ქსელში მასწავლებლებს შექმნილი აქვთ მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან კომუნიკაციის მიზნით დახურული ჯგუფები ან ჩათები, რომლის საშუალებითაც მუდმივად აწვდიან ონფორმაციას სასწავლო პროცესში მიმდინარე ცვლილებებისა და სიახლეების შესახებ. სკოლის ვებგვერდის შესაბამის გვერდზე განთავსებულია სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია, ასევე შესაძლებელია ფეისბუქგვერდზე მიწერა.

სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი , რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: მისია, ხედვა, ღირებულებები, ორგანოგრამა, სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც გაწერილია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები და სკოლის მიერ განსახორციელებელი პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები. საფეხურის დაძლევის პირობები. შეთავაზებული სერვისები ასევე გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის შინაგანაწესი და განცხადებისა და საჩივრების წარდგენის წესი. სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, სკოლას ატვირთული არ აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიში.

რჩევა: სასურველია, სკოლამ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 2-24 საქმისწარმოების წესი
- დანართი 24. 10 დეკემბრის ანგარიში
- დანართი 25. ანგარიში საკანონმდებლო მაცნეს

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

   სკოლას აქვს კანონმდებლობის დაცვით დამტკიცებული ბუჯეტი. სკოლა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლას ურიცხავს ექთნის თანამდებობრივ სარგოს, სსსმ მოსწავლისთვის განკუთვნილ ფულად სახსრებს, მასწავლებელთა დანამატს. სკოლას ეკონომიკური საქმიანობიდან არ აქვს არანაირი შემოსავალი. სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და ბიუჯეტის ანალიზი ადასტურებს, რომ დაწესებულების ფინანსები უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის შესასრულებას. სკოლის ბიუჯეტი იმგვარადაა შედგენილი, რომ შესაძლებელია სკოლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

   სკოლის დირექტორსა და ბუღალტერათან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ფინანსური დაგეგმვისას ხდება წინა სასწავლო წლის ფინანსური ანალიზი და შემოსავლების პროგნოზირება. საჭიროების შემთხვევაში, ხდება ბიუჯეტის გადახედვა და მასში ცვლილებების შეტანა. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წლის ბოლოს (10 დეკემბრამდე) დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები. სკოლა რესურსცენტრს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში წარუდგენს ინფორმაციას, 6 თვეში ერთხელ ფინანსურ ბალანსს ტვირთავს ხელშეკრულებებს SMR-ში, შესყიდვების გეგმას კი - ePLAN მოდულში.

   რჩევა: სკოლამ უზრუნველყოს 2026 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანა.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ელ. ფოსტა kvedaberetisi@mes.gov.ge
- ვებგვერდი skolebi.emis.ge
- Teams პლატფორმა.
- სოც ქსელი facebook.com-(ქვედა ბერეთისის საჯარო სკოლა)

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის მიერ წარმოდგენილია შიდა რეგულაციები და სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებებისა და მათი კანონიერი ინტერესების დაცვას. მოქმედებს მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, განსაზღვრულია

უსაფრთხოებისა და დაცვის მექანიზმები, მათ შორის რეფერირების პროცესზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ შესაბამისი ადმინისტრაციული აქტი.
სკოლაში უზრუნველყოფილია უსაფრთხო გარემო — წარმოდგენილია ევაკუაციის გეგმა და ფუნქციონირებს სამედიცინო მომსახურება (ექთანი), რაც დამატებით ამყარებს მოსწავლეთა კეთილდღეობის დაცვის სისტემას.
ამასთან, მოსწავლეთა უფლებების დაცვა არ შემოიფარგლება მხოლოდ სამართლებრივი რეგულაციებით. სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა მხარდაჭერის მექანიზმები, მათ შორის ადაპტაციის, ტრანზიციის, ინკლუზიური განათლებისა და რემედიაციის მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირების, მხარდაჭერისა და პროგრესის მონიტორინგის პროცედურებს.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შიდა რეგულაციები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის — დოკუმენტები განთავსებულია შესაბამის პლატფორმებზე (emis.ge), ხოლო მშობლები ინფორმირებულნი არიან როგორც ელექტრონული ჟურნალის, ისე უშუალო კომუნიკაციის გზით (მათ შორის პირადი მიმოწერის ფორმატში).
სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი, რომელიც წარმოადგენს ძირითად საკომუნიკაციო არხს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის გაზიარებისთვის.
გამოიკვეთა, რომ განმავითარებელი შეფასების ნაწილი ზოგ შემთხვევაში ასახულია მხოლოდ ქაღალდზე და არ არის სრულად ინტეგრირებული ელექტრონულ ჟურნალში, რაც გარკვეულწილად ზღუდავს ინფორმაციის სისტემურ ხელმისაწვდომობას.
რჩევა: მიზანშეწონილია განმავითარებელი შეფასების შედეგების სრულად ასახვა ელექტრონულ ჟურნალში, რაც ხელს შეუწყობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდას და სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლის მიერ მოსწავლესთან და მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები, რომლებიც განსაზღვრავს მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებები არის მკაფიო და უზრუნველყოფს ურთიერთობის გამჭვირვალობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ხელშეკრულებები
- სკოლის შინაგანაწესი და ქცევის კოდექსი
- რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება
- ევაკუაციის გეგმა
- ელექტრონული ჟურნალი
- ინკლუზიური განათლების პოლიტიკის დოკუმენტი
- რემედიაციის პროგრამის დებულება
- ტრანსპორტირების აღრიცხვის დოკუმენტაცია
- თანამშრომლობის მემორანდუმი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლაში განსაზღვრულია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მკაფიო და კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. აღნიშნული პროცედურები გაწერილია შესაბამის შიდა დოკუმენტში, რომელიც არეგულირებს მოსწავლის სტატუსთან დაკავშირებულ ყველა ძირითად საკითხს და უზრუნველყოფს პროცესების თანმიმდევრულობასა და გამჭვირვალობას.
დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს თითოეული პროცედურის ეტაპებს, პასუხისმგებელ პირებსა და გადაწყვეტილების მიღების წესს, რაც უზრუნველყოფს პროცესის სამართლებრივ სიზუსტეს და ერთგვაროვან პრაქტიკას.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

წარმოდგენილი ადმინისტრაციული აქტები (დირექტორის ბრძანებები) ადასტურებს, რომ სკოლა პრაქტიკაში იცავს დადგენილ მექანიზმებს და თითოეული პროცედურა ფორმდება შესაბამისი სამართლებრივი აქტით.
მოსწავლის სტატუსთან დაკავშირებული ცვლილებები ხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად, რაც მიუთითებს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია როგორც რეგულაციების არსებობა, ისე მათი პრაქტიკული განხორციელება.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის შიდა პოლიტიკა, ქცევის წესები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაცია ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. დოკუმენტები განთავსებულია შესაბამის ელექტრონულ პლატფორმებზე (emis.ge), ხოლო მშობლები დამატებით ინფორმირებულნი არიან ელექტრონული ჟურნალისა და უშუალო კომუნიკაციის გზით.
აღნიშნული უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პროცესების გამჭვირვალობას.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, საგანმანათლებლო სერვისებისა და აქტივობების შესახებ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და არ შეიცავს დისკრიმინაციულ ან მცდარ ინფორმაციას.
სკოლა იყენებს როგორც ოფიციალურ ელექტრონულ პლატფორმებს, ისე უშუალო კომუნიკაციის არხებს (მშობელთან და მოსწავლესთან), რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ და ზუსტ გავრცელებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ჩარიცხვის, მობილობისა და სტატუსის მართვის შიდა წესი
- დირექტორის ბრძანებები (ჩარიცხვა, სტატუსის ცვლილება და სხვა)
- მოსწავლეთა ხელშეკრულებები

- სკოლის შინაგანაწესი და ქცევის კოდექსი
- ელექტრონული ჟურნალი

მშობლებთან კომუნიკაციის პრაქტიკა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**
2. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლის მიერ წარმოდგენილია მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები, რომლებიც რეგულირდება შესაბამისი შიდა დოკუმენტებით. ადაპტაციის პროცესი მოიცავს როგორც აკადემიურ, ისე სოციალურ-ემოციურ მხარდაჭერას, განსაზღვრულია დეადაპტაციის ნიშნები და შესაბამისი რეაგირების მექანიზმები, მათ შორის მშობლის ჩართულობა და ინდივიდუალური მიდგომა თითოეული მოსწავლის მიმართ.

3. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო პროცესში ჩართვის საწყის ეტაპზევე, რაც ხორციელდება დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლების აქტიური ჩართულობით. მცირე კონტინგენტის პირობებში თითოეულ

მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობა საშუალებას იძლევა ადაპტაციის პროცესი იყოს ოპერატიული და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული.

4. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლაში ფუნქციონირებს აკადემიური მხარდაჭერის მექანიზმები, მათ შორის რემედიაციის პროგრამა, რომელიც ეფუძნება მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირებას, დიაგნოსტირებასა და პროგრესის მონიტორინგს.
ამასთან, სსსმ მოსწავლეებისათვის უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება და განხორციელება, შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით.
მცირე კონტინგენტის პირობებში მხარდაჭერა ხშირად ხორციელდება უშუალოდ სასწავლო პროცესში, ინდივიდუალური განმარტებისა და კონსულტაციის გზით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

5. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლაში ადმინისტრაციული პროცესები (ჩარიცხვა, მობილობა, სტატუსის მართვა და სხვა) ხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად და ფორმდება შესაბამისი ადმინისტრაციული აქტებით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის უფლებების დროულ და ეფექტიან რეალიზებას.

6. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლაში ფუნქციონირებს დამატებითი საგანმანათლებლო და არაფორმალური აქტივობები, მათ შორის სამოქალაქო განათლების კლუბი და სპორტული წრე (ჭიდაობა), რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას და ინტერესების გათვალისწინებას. აღნიშნული აქტივობები ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ჩართულობით.

7. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლაში კომუნიკაცია მოსწავლეებსა და მშობლებთან ხორციელდება როგორც ელექტრონული ჟურნალის, ისე უშუალო კომუნიკაციის გზით. მცირე კონტინგენტის პირობებში უკუკავშირი ხშირ შემთხვევაში მიიღება უშუალო, არაფორმალური

კომუნიკაციის ფორმატში, რაც უზრუნველყოფს პრობლემებზე ოპერატიულ რეაგირებას და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას.
ნაკლებად იკვეთება უკუკავშირის სისტემური, დოკუმენტირებული ანალიზი, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.
რჩევა: მიზანშეწონილია მოსწავლეთა და მშობლების უკუკავშირის სისტემური შეგროვება და ანალიზი, რაც ხელს შეუწყობს მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადაპტაციისა და ტრანზიციის მარეგულირებელი დოკუმენტები
- რემედიაციის პროგრამის დებულება
- სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის დოკუმენტაცია (ისგ, ჯგუფის ოქმები და სხვ.)
- ადმინისტრაციული აქტები (სტატუსის მართვა, ჩარიცხვა და სხვ.)
- სამოქალაქო განათლების კლუბის აქტივობები
- სპორტული წრე (ჭიდაობა)
- ელექტრონული ჟურნალი და კომუნიკაციის პრაქტიკა

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლაში მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია კარიერული განვითარების შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა, რაც ძირითადად ხორციელდება მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან კონსულტაციისა და ინფორმირების გზით. ამასთან, სკოლა თანამშრომლობს გარე ორგანიზაციებთან, რაც დამატებით შესაძლებლობებს ქმნის მოსწავლეთა

პროფესიული ორიენტაციისთვის. თუმცა, ნაკლებად იკვეთება კარიერული დაგეგმვის სისტემურად ორგანიზებული სერვისი ან სპეციალურად ამ მიმართულებაზე ორიენტირებული პროგრამა.

რჩევა: მიზანშეწონილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების სისტემატიზაცია, შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა (მაგ., კარიერული შეხვედრები, პროფესიული ორიენტაციის სესიები) და უკუკავშირის საფუძველზე მათი განვითარება.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

მოსწავლეები და მათი კანონიერ წარმომადგენლები ინფორმირებულნი არიან შემდგომი განათლების შესაძლებლობების შესახებ, რაც ძირითადად ხორციელდება უშუალო კომუნიკაციის, კონსულტაციების და სკოლის მიერ ორგანიზებული ინფორმაციის გაზიარების გზით.

მცირე კონტინგენტის პირობებში აღნიშნული პროცესი ხშირ შემთხვევაში ინდივიდუალურ კომუნიკაციას ეფუძნება, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ოპერატიულ მიწოდებას.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლაში კომუნიკაცია მოსწავლეებსა და მშობლებთან ხორციელდება როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური გზით, რაც იძლევა უკუკავშირის მიღების შესაძლებლობას.

ამასთან, ნაკლებად იკვეთება კარიერული ორიენტაციის მომსახურების ხარისხის სისტემური შეფასება და მიღებული შედეგების გამოყენება მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

რჩევა: მიზანშეწონილია კარიერული ორიენტაციის მომსახურების ხარისხის სისტემური შეფასების მექანიზმების დანერგვა და მიღებული შედეგების გამოყენება მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თანამშრომლობის მემორანდუმი (დანართი 29)

- სკოლის მიერ განხორციელებული საკომუნიკაციო პრაქტიკა

კლუბური აქტივობები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლაში შემუშავებულია სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემური მექანიზმი, რომელიც რეგულირდება შესაბამისი შიდა დოკუმენტებით და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.
დადგენილია სსსმ სტატუსის იდენტიფიცირებისა და მინიჭების პროცედურები, მულტიდისციპლინური გუნდის ჩართულობით. ასევე განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესი, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას.
სკოლაში ფუნქციონირებს ისგ ჯგუფი, რომლის შექმნა ფორმდება შესაბამისი ადმინისტრაციული აქტით და რომელიც სისტემურად განიხილავს მოსწავლის წინსვლას, სირთულეებსა და საჭიროებებს.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერა ხორციელდება თანამშრომლობითი მიდგომით, რომელშიც ჩართული არიან საგნის მასწავლებლები, დამრიგებელი, სპეციალური მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია და მოსწავლის მშობელი.
ისგ ჯგუფის მუშაობა მოიცავს რეგულარულ შეხვედრებს, მოსწავლის მიღწევებისა და სირთულეების განხილვას, ასევე მშობლის სისტემატურ ინფორმირებას მოსწავლის პროგრესის შესახებ.
სკოლაში უზრუნველყოფილია სსსმ მოსწავლეთა ჩართულობა როგორც საგაკვეთილო, ისე სასკოლო აქტივობებში, რაც ხელს უწყობს მათ სოციალურ ინტეგრაციასა და განვითარების პროცესს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ მოსწავლეთა მომსახურების რეგულაციის დოკუმენტი
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანებები
- ისგ შეხვედრების ოქმები
- მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნები
- სპეციალური მასწავლებლის ჩართულობის დამადასტურებელი მასალა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლაში ფუნქციონირებს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებები, მათ შორის ტრანსპორტირების სერვისი და არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობები (სპორტული წრე — ჭიდაობა, კლუბური საქმიანობა — სამოქალაქო განათლების კლუბი), რომლებიც ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას.
აღნიშნული მომსახურებები ხორციელდება სკოლის რესურსებისა და შესაძლებლობების ფარგლებში და არ იკვეთება ისეთი მომსახურება, რომლისთვისაც აუცილებელი იყოს დამატებითი ლიცენზირების ან ნებართვის მიღება.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი აქტივობები მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია ნებაყოფლობითობის პრინციპით და ორიენტირებულია მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე.
სპორტული წრე და კლუბური აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ, სოციალურ და სამოქალაქო განვითარებას, ხოლო მათი განხორციელება ხდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ჩართულობით.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ტრანსპორტირების სერვისთან დაკავშირებით სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა გადაადგილების ორგანიზებასა და აღრიცხვას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით და მიუთითებს პროცესის კონტროლსა და უსაფრთხოების დაცვის მცდელობაზე.
სკოლის მიერ შეთავაზებული ყველა დამატებითი მომსახურება ხორციელდება მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და არ იკვეთება ისეთი პრაქტიკა, რომელიც არღვევდეს უსაფრთხოების ან ნებაყოფლობითობის პრინციპს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტრანსპორტირების აღრიცხვის დოკუმენტაცია (დანართი 30 - ტრანსპორტის ტაბელი)
- სკოლის მიერ ორგანიზებული სპორტული წრე (ჭიდაობა)
- სამოქალაქო განათლების კლუბი (შეხვედრების განრიგი)
- სკოლაში არსებული დამატებითი აქტივობების შესახებ ინფორმაცია

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხური**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხური**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება**

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები) ჩართულობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. დოკუმენტი განსაზღვრავს ჩართულ მხარეებსა და თანამშრომლობის პრინციპებს. თუმცა, აღნიშნული ჩართულობის დამადასტურებელი კონკრეტული მექანიზმები (მაგ., გამოკითხვები, უკუკავშირის ანალიზი) და შესაბამისი მტკიცებულებები წარმოდგენილი არ არის, რაც ამცირებს პროცესის პრაქტიკული განხორციელების სანდოობას.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სასკოლო სასწავლო გეგმა ასახავს ზოგად საგანმანათლებლო პრინციპებს, ღირებულებებსა და მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. დოკუმენტში ნაკლებად იკვეთება კონკრეტული სასკოლო საზოგადოების ინტერესების, საჭიროებებისა და პრიორიტეტების ოპერაციული ასახვა, რაც მიუთითებს, რომ კურიკულუმი მეტწილად ეყრდნობა ზოგად ნორმატიულ მოთხოვნებს.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ და შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან, რაც ფორმალურად მიუთითებს სასკოლო საზოგადოების მონაწილეობაზე. ამასთან, წარმოდგენილი არ არის საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა სხვადასხვა ჯგუფის აქტიურ და შინაარსობრივ ჩართულობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის, მათ შორის მასწავლებლები იცნობენ მის შინაარსს, ხოლო მშობლებისთვის დოკუმენტები ხელმისაწვდომია როგორც სკოლის ვებგვერდზე, ასევე მშობელთა კრებების ფარგლებში. აღნიშნული მიუთითებს კურიკულუმის ხელმისაწვდომობაზე, თუმცა გაზიარების პროცესის სისტემურობა და უკუკავშირის მექანიზმები ნაკლებად იკვეთება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- პედაგოგიური საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს ოქმები
- სკოლის ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები. აქტივობების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები და ინტერესები. გამოკვეთილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. სწავლის მიზნები ძირითადად ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. **რჩევა:** • სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ პრაქტიკულ სამუშაოებზე - საბაზო და საშუალო საფეხურზე. • სასურველია გაკვეთილებზე გამოყენებული იყოს მარტივი, უსაფრთხო ექსპერიმენტები, მეტი ყურადღება დაეთმოს კეთებით სწავლებას. • სკოლას აქვს ლაბორატორია, აქვს გარკვეული რაოდენობის ჭურჭელი და რეაქტივები, რაც ზოგიერთი უსაფრთხო ცდის საკლასო ოთახში ჩატარების საშუალებას იძლევა. პირველ რიგში, სასურველია, კარადა, სადაც რეაქტივები ინახება, უსაფრთხოების მიზნით, დაიკეტოს (ლაბორატორიის კეთილმოწყობის გეგმა სკოლას შესაბამისობის გეგმაში აქვს გაწერილი).

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებები (გეოგრაფია, ისტორია, სამოქალაქო განათლება) მოსწავლის აღზრდის პროცესში ფუნდამენტალურ როლს ასრულებს. ეს საგნები არ არის მხოლოდ ფაქტების ერთობლიობა: ისინი აყალიბებენ პიროვნებას, როგორც აქტიურ მოქალაქეს და ანალიტიკურ მოაზროვნეს. კურიკულუმი - პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო მასალა, რესურსები შეესებამება საგნის სტანდარტის კვალიფიკაციათა ჩარჩოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი თითოეული საფეხურის კურიკულუმი ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. დოკუმენტში განსაზღვრული სამიზნე ცნებები, შუალედური მიზნები და შემოქმედებითი აქტივობები ორიენტირებულია აქტიური, ინტერაქციული და თანამშრომლობითი სასწავლო გარემოს შექმნაზე. კათედრის წევრებმა ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ კურიკულუმის დაგეგმვისა და გადაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. **რჩევა:** კურიკულუმის შემდგომი დახვეწის მიზნით, უცხოური ენის კათედრამ სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი ძირითადი ცნებები (ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები) დეტალურად დააკონკრეტოს ქვეცნებების დონეზე, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო შინაარსის მეტად სტრუქტურირებულ და გამჭვირვალე ორგანიზებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის მიერ მუსიკაში და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში (დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე) წარმოდგენილი სავალდებულო თემატური ბლოკები, თემები და შემოქმედებითი ტიპის დავალებები წარმოადგენს პედაგოგთა და მოსწავლეთა გამოცდილებას და პრაქტიკას, განისაზღვრება როგორც საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი. შესაბამისად, წარმოდგენილი კურიკულუმები შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე.

	რჩევა: • მუსიკის საგნის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა კლასის კურიკულუმში, დროის ორგანიზების მიზნით, სასურველია მიეთითოს საგნისთვის განსაზღვრული სემესტრული საათობრივი დატვირთვა. • სასურველია გაითვალისწინოთ რომ სახვით და გამოყენებითი ხელოვნების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში თემის ფარგლებში ცნების დასამუშავებლად შერჩეულ უნდა იქნას საკითხი, საგაკვეთილო თემების ჩამონათვალის ნაცვლად. • დაწყებით საფეხურზე მუსიკის საგანსა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში ჩამოყალიბდეს მოკლე და ლაკონიური შემოქმედებითი დავალების იდეა (გაწერილი ნაბიჯების გარეშე (სკოლამ დაიწყო შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრის ძიება, რაც არსებული პრობლემების აღმოფხვრას განაპირობებს). • საბაზო საფეხურზე, მე-8 და მე-9 კლასის მუსიკის კურიკულმში გათვალისწინებულ იქნას დროში მოსწრებადი, განხორციელებადი შემოქმედებითი დავალების რაოდენობა (თემაში ერთი), საათობრივი ბადით განსაზღვრულ საათების რაოდენობასთან მიმართებით, ასევე გათვალისწინებული იქნას იმ საკითხების დამუშავება, (მაგალითად მე-8 კლ. თემას ,,ხილული და უხილავი მუსიკაში“ დაგეგმილ შემოქმედებით დავალებას. .დეკლამაციის ნაირსახეობები ხილულისა და უხილავის გადმოცემაში ორატორიაში'', წინ უძღვოდეს საკითხების - I - სიტყვა და ინტონაცია დეკლამაციაში, ხილულისა და უხილავის გადმოცემაში, II - მელოდეკლამაცია ხილულისა და უხილავის გადმოცემაში, დამუშავება), რომელიც შემოქმედებით დავალებამდე მისვლაში დაგეხმარებათ. ასევე, მე-9 კლასში თემის ,,მითი და რეალობა მუსიკაში'' ფარგლებში ამ ეტაპზე სასურველია დატოვოთ ორი საკითხი, 1 შემოქმედებითი დავალება. • მუსიკაში - საბაზო საფეხურის კურიკულუმებში სრულყოფილად გაიწეროს ყველა ცნება - ბგერა, რიტმი, მელოდია, ჰარმონია, ფორმა, ჟანრი. • სახვითი და გამოყენიბითი ხელოვნების კურიკულუმში მოხდეს ძირითადი კონტექსტ-მაგალითის გრაფაში იმ იდეის ჩამოყალიბება თუ რა კონტექსტში ხდება თემის დამუშავება შემოქმედებითი დავალებიდან გამომდინარე (თემაში,

	სადაც არ ხორციელდება შემოქმედებითი დავალება, არ არის სავალდებულო კონტექსტ-მაგალითის გრაფის შევსება). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და სახელმწიფო ენის კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად იკვეთება, რომ სახელმწიფო ენის საგნობრივი კურიკულუმები სკოლის სამივე საფეხურზე ორიენტირებულია მოსწავლეზე და შემუშავებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. საგნობრივი კურიკულუმი სამივე საფეხურზე წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს აუცილებელ კომპონენტებს. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს. საგნობრივი კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები გვიჩვენებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს წარმოადგინეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე. სწორი აქცენტები გააკეთეს გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად გამოყენებულ დავალებებზე, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკაში წარმოდგენილი კურიკულუმები ისეა დაგეგმილი, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და ემსახურება მათ განვითარებას; საკითხები დაჯგუფებულია თემების მიხედვით (თუმცა თემების დასახელებებს აკლია აკადემიურობა). თითოეული თემისთვის შერჩეულია საკითხების ჯგუფი, საკითხებისთვის შერჩეულია რელევანტური ელექტრონული რესურსი, დასახულია გრძელვადიანი მიზნები, რომელთა მიღწევაც შუალედური მიზნებით - შემოქმედებითი დავალებებით ან პროექტებითაა შესაძლებელი. **რჩევა:** სასურველია, თემების დასახელებისას გამოიყენოთ მესამე თაობის ესგ, რაც კურიკულუმებს მეტ აკადემიურობას შესძენს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმები დაფუძნებულია ესგ-ს და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. მათში შეტანილი სასწავლო თემები ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებებზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ შემუშავებული კურიკულუმი ნამდვილად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ამის საფუძველს იძლევა კურიკულუმში ასახული შემდეგი მახასიათებლები: დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, თავად აირჩიონ ფორმატი — იქნება ეს ციფრული (Paint, Minecraft, PowerPoint) თუ ტრადიციული (თაბახის ფურცელი, ფანქრები). დავალებები ეფუძნება მოსწავლის ყოველდღიურობასა და ინტერესებს, მაგალითად: „შენი გზა სახლიდან სკოლამდე“, „სამუშაო დღის განრიგი“ ან საკუთარი მცირე ქსელის შექმნა თანაკლასელებთან ერთად. აქცენტი კეთდება პროექტზე დაფუძნებულ სწავლებასა და კომპლექსურ დავალებებზე, რაც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და თანამშრომლობის უნარების განვითარებას. კურიკულუმი ითვალისწინებს დამატებით აქტივობებს იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც დავალებას ვადაზე ადრე ასრულებენ. სასწავლო გეგმა მოიცავს შეფასების რუბრიკებს, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე და ეხმარება მას საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში სხვადასხვა დონეზე (დაბალი, საშუალო, მაღალი). პროგრამული კოდის ან ანიმაციის შექმნისას მოსწავლეებს შეუძლიათ თავად შეარჩიონ ობიექტები (სპრაიტები) და მოარგონ ისინი საკუთარ გემოვნებას. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, დოკუმენტი არ არის სტატიკური; ის ყოველწლიურად ახლდება და იხვეწება წინა წლის მონაცემების, მოსწავლეთა მიღწევებისა და გამოწვევების ანალიზის საფუძველზე.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IV კლასი, მე და საზოგადოება III-IV კლასი) საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, რისი დაგეგმვისა და განხორციელების გზას კურიკულუმები წარმოადგენს. შუალედურ მიზანზე გასვლისათვის წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას. მიზნები წარმოდგენილია სტანდარტის შედეგებისა და ინდიკატორების სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის წევრები ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე, კათედრის შეხვედრებზე ხდება სხვადასხვა პროცესის გაანალიზება და შემდეგ გათვალისწინება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმი სრულად თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მოთხოვნებთან. სასწავლო თემები სტრუქტურირებულია სამიზნე ცნებების გარშემო, ხოლო დაგეგმილი კომპლექსური დავალებები იძლევა მოსწავლის მიერ ფუნქციური ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას. კურიკულუმში მკაფიოდ არის გაწერილი კავშირები გრძელვადიან მიზნებსა და ყოველდღიურ აქტივობებს შორის **რჩევა:** • მე და საზოგადოების კურიკულუმის მასალებში სასურველია ეწეროს საკითხები;

	• სასურველია მე და საზოგადოების, გეოგრაფიის, ჩვენი საქართველოს მასალებში იყოს შემოქმედებითი პროდუქტის მამტკიცებელი დოკუმენტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენის სამივე საფეხურის კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივ სტანდარტებს და იძლევა შესაძლებლობას მოსწავლემ მიაღწიოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულ შედეგებს. კურიკულუმის სტრუქტურა ეფუძნება სამი ძირითადი კატეგორიის გამოყოფას: ტექსტი, სამეტყველო ქმედება და ენობრივი საშუალებები. ასეთი კლასიფიკაცია ხელს უწყობს ენობრივი კომპეტენციების ინტეგრირებულ განვითარებას, რაც მოიცავს ტექსტის გააზრებას, კომუნიკაციური ფუნქციების ეფექტიან განხორციელებას და შესაბამისი გრამატიკული თუ ლექსიკური რესურსების მიზანმიმართულ გამოყენებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის კურიკულუმები მუსიკაში და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, სადაც უმეტესად წარმოდგენილია გრძელვადიანი მიზნების ფარგლებში შერჩეული შემოქმედებითი დავალების იდეები, სამიზნე ცნებები და შედეგები, ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და იძლევა შესაძლებლობას განისაზღვროს მოსწავლის აქტიური ჩართვა პროცესში. **რჩევა:** • სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში V-VI კლ. ცალ - ცალკე სამიზნე ცნებად შეიტანოთ დარგები და ჟანრები; • სასურვლია მუსიკის საგანში პროექტული სწავლების კურიკულუმში, ერთად წარმოდგენილი სავალდებულო პროექტების ნაცვლად, დაზუსტებული იყოს ის ორი პროექტის/ შემოქმედებითი დავალების იდეა, რომლებსაც ახორციელებთ; • მუსიკაში - საბაზო საფეხურის კურიკულუმებში სრულყოფილად გაიწეროს ყველა ცნება - ბგერა, რიტმი, მელოდია, ჰარმონია, ფორმა, ჟანრი.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	სკოლის სამივე საფეხურზე მოქმედი კურიკულუმები წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში მოცემული შემოქმედებითი დავალების იდეით ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას. სახელმწიფო ენის კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს, კონკრეტულად თუ რომელ გრძელვადიან მიზნებს მიემართება მათ მიერ წარმოდგენილი დავალებები სამივე საფეხურზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრა იყენებს მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას კურიკულუმის დაგეგმვისას და ის, ესგ-ს შესაბამისად, მიემართება მათემატიკის სამივე სამიზნე ცნებისკენ: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა. თითქმის ყველა კლასის კურიკულუმებში თითოეული სამიზნე ცნება ჩაშლილია ქვეცნებებად. თუმცა, ზოგიერთი კლასის კურიკულუმში (მაგალითად, მე-6 კლასი) ქვეცნებები ისეთი ფორმითაა წარმოდგენილი, რომ ზუსტად არ აღწერს თემისა და საკითხების არსს, რაც ხელს უშლის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებისკენ სვლას. **რჩევა:** სასურველია, სამივე საფეხურის თითოეული კლასისთვის წარმოდგენილი კურიკულუმის ყოველი კომპონენტი, მათ შორის ქვეცნებები, წარმოდგენილი იყოს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და საგნობრივი საფეხურეობრივი სტანდარტების მოთხოვნებს. ითვალისწინებს საგნის ზოგად მიზნებს, სამიზნე ცნებებს, საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგს. მასში შეტანილია სასწავლო თემები სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	სასკოლო კურიკულუმი პირდაპირ მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით (ესგ) განსაზღვრულ მიზნებს. კურიკულუმი ორიენტირებულია სამიზნე ცნებებზე, კურიკულუმის დაგეგმვისას გამოყენებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სამიზნე ცნებები, როგორიცაა „ალგორითმი“, „ინფორმაცია“ და „კომპიუტერული მოწყობილობა“ და ა.შ. სასწავლო პროცესი ფოკუსირებულია ესგ-ით პრიორიტეტულად მიჩნეულ უნარებზე, მათ შორის კრიტიკულ აზროვნებაზე, პრობლემის გადაჭრაზე, ციფრულ წიგნიერებასა და თანამშრომლობაზე. კურიკულუმის ძირითად ინსტრუმენტად გამოყენებულია კომპლექსური ტიპის დავალებები, რაც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი მოთხოვნაა ცოდნის ტრანსფერისა და გააზრებული სწავლების უზრუნველსაყოფად. მოსწავლეები ქმნიან სხვადასხვა ტიპის შემოქმდებით დავალებას. გამოყენებული შეფასების რუბრიკები და სოლო (SOLO) ტაქსონომია მიმართულია მოსწავლის შემეცნებითი განვითარების დონეების შეფასებაზე. კურიკულუმი წარმოადგენს ეროვნული სასწავლო გეგმის პრაქტიკული რეალიზაციის ეფექტურ გზას სკოლის დონეზე. **რჩევა:** სასურველია, დაიგეგმოს პროექტები სხვა საგნებთან ინტეგრირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IV კლ., მე და საზოგადოება III-IV კლ.) საგნობრივ კურიკულუმებში წარმოგენილია გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირებული სამიზნე ცნებები და შედეგები. სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, თემები, საკითხები კავშირშია ერთმანთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი ამუშავებს სამიზნე ცნებებს.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესის განხორციელების პერიოდში თვალსაჩინოებად სკოლა იყენებს გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებსა და ელექტრონულ რესურსებს. სკოლას აქვს გარკვეული რაოდენობის ლაბორატორიული ჭურჭელი, ხელსაწყოები და რეაქტივები, რაც ფოტომასალით დასტურდება. (ლაბორატორიის კეთილმოწყობის გეგმა სკოლას შესაბამისობის გეგმაში აქვს გაწერილი). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები (სახელმძღვანელოები, წყაროები, ციფრული მასალები) შინაარსობრივად მიემართება სწავლის შედეგებს. დაწესებულება უზრუნველყოფს გარემოს, სადაც რესურსების მრავალფეროვნება ხელს უწყობს მოსწავლის მიერ დამოუკიდებელი კვლევისა და ანალიზის უნარების განვითარებას. **რჩევა:** სასურველია რესურსების ბანკის პერიოდული განახლება აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური კვლევებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები მიზანმიმართულადაა შერჩეული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ინტერვიუზე

	მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსები, მათ შორის ციფრული მასალები, ვიდეოები და ვიზუალური საშუალებები, რაც ხელს უწყობს სასწავლო მასალის უკეთ აღქმას, ინტერესის ზრდასა და განსხვავებული სასწავლო საჭიროებების გათვალისწინებას. აღნიშნული პრაქტიკა დადებითად აისახება მოსწავლეთა ჩართულობასა და სწავლის ეფექტიანობაზე. **რჩევა:** სასურველია უცხოური ენის კათედრამ მეტად გააძლიეროს საკუთარი, კონტექსტზე მორგებული ციფრული საგანმანათლებლო რესურსების შექმნა. მოსწავლის საჭიროებებზე დაფუძნებული მასალების განვითარება ხელს შეუწყობს როგორც კურიკულუმის კიდევ უფრო ეფექტიან იმპლემენტაციას, ისე სწავლების პროცესის ინდივიდუალიზაციას და ინოვაციური მიდგომების დანერგვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია ძირითადი სასწავლო რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ასევე დამატებითი რესურსები, ვიდეო-ფილმები, ფოტო მასალა, ბმულები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. **რჩევა**: სასურველია მასწავლებლებმა სამივე საფეხურის კურიკულუმების შესაბამის ველში სრულად შეიტანონ ის ელექტრონული თუ მატერიალური რესურსები, რომლებსაც იყენებენ გაკვეთილებზე. სასურველია კურიკულუმში მითითებული რესურსების მიზნობრიობის დაზუსტება, გათვალისწინება, დაკონკრეტება, ლინკების/ბმულების და გამოყენებული მასალის სწორად მითითება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული **საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის**

	სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; შესაბამისი რესურსებით, ონლაინ და მატერიალური რესურსების გამოყენებით სწავლების სამივე საფეხურზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს (პირველ-მეორე კლასებში -„მე მიყვარს მათემატიკა“, მესამე-მეოთხე კლასებში - ინტელექტის გამომცემლობა, გოგიშვილი-ვეფხვაძის ავტორობით, მე-5 - მე-6 კლასებში ირინა რუხაძის ავტორობით გამომცემლობა „პედგოგიკა“, საბაზო საფეხურის მე-7, მე-8 და მე-9 კლასებში-ჯაფარიძე, წულაია, წილოსანის ავტორობით მათემატიკის სახელმძღვანელოებს, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა; მე-10 კლასში თ. ბექაური, ა. საგინაშვილის ავტორობით, ხოლო საშუალო საფეხურზე გამომცემლობა „ინტელექტი“, გოგიშვილი-ვეფხვაძის ავტორობით) და დამატებით სახელმძღვანელოებს, ასევე, ელექტრონულ რესურსებს, ბმულების სახით, რომელთა გამოყენება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმის შედგენისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ არსებული, მატერიალური რესურსით. სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობის მიხედვით. ასევე ციფრულ რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგადი განმავითარებელი ვარჯიშებით და ელექტრონული რესურსი ცხოვრების ჯანსაღი წესის პრინციპების შესახებ. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტების (კურიკულუმების, კათედრის ოქმებისა და მასწავლებლის ანგარიშის) ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ

	შერჩეული რესურსები სისტემურად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმი არ არის დამოკიდებული მხოლოდ ერთ სახელმძღვანელოზე. პედაგოგი იყენებს მრავალფეროვან ციფრულ პლატფორმებს, როგორიცაა **Code.org**, **Scratch**, **Khan Academy** და **Microsoft Office 365**, რაც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, პრაქტიკულად დაამუშავონ თეორიული საკითხები. რესურსები მოიცავს როგორც ელექტრონულ ინსტრუმენტებს, ისე პრაქტიკულ სავარჯიშოების კრებულებს, რაც ხელს უწყობს „21-ე საუკუნის უნარების" — კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის — განვითარებას. კურიკულუმში რესურსები შერჩეულია კონკრეტული სამიზნე ცნებებისა და საკითხების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეტაპობრივ და გააზრებულ მიღწევას. რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები. მასწავლებლის მიერ მომზადებული ავთენტური რესურსები, რომ მასწავლებელი თავად ქმნის დამხმარე მასალებს, რაც უზრუნველყოფს რესურსის ზუსტ შესაბამისობას კონკრეტული კლასის საჭიროებებთან. კათედრის ოქმებიდან ჩანს, რომ რესურსების ეფექტურობა რეგულარულად მოწმდება შემაჯამებელი დავალებების დიაგნოსტირებისა და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე. რესურსების შერჩევა და დანერგვა ხდება კათედრის წევრებს შორის გამოცდილების გაზიარებისა და ურთიერთდასწრების გზით, რაც ზრდის სწავლების ხარისხს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ., მე და საზოგადოება III-IV კლ.) წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვადასხვა დამხმარე ლიტერატურა, ვიდეოგაკვეთილები, ტელესკოლის გაკვეთილები, საინტერესო და მოსწავლეთა

	ინტერესზე მორგებული პრეზენტაციები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე ახორციელებს დიფერენცირებულ სწავლებას. გასაუბრებისას გაირკვა, რომ სხვადასხვა აქტივობაზე მუშობისას, მასწავლებელები დავალებებს მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების მიხედვით ამზადებენ. მაგ., მოსწავლეთა პროექტებისა და კონფერენციებისთვის მომზადება. სსსმ მოსწავლეებისათვის კურიკულუმის ადაპტაცია და ისგ გეგმის შემუშავება მოხდება ესგ- ით მითითებულ ვადებში, ყველა წესის დაცვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას ჰყავს სამი სსსმ მოსწავლე, წარმოდგენილი კურიკულუმი და საგაკვეთილო გეგმები იძლევა დიფერენცირებული სწავლების შესაძლებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენის სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი ხასიათდება ინკლუზიურობით და ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს. კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და ინტერესებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის აქტიურ ჩართულობასა და აკადემიური პოტენციალის განვითარებას. გამოყენებული მიდგომები ხელს უწყობს თანასწორი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, სადაც ყველა მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა მიაღწიოს კურიკულუმით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. აღნიშნული პრაქტიკა დადებითად აისახება როგორც სწავლების ეფექტიანობაზე, ისე მოსწავლეთა მოტივაციასა და თვითრეალიზაციაზე.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოადგინილია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სკოლა გამოხატავს მზაობას სსსმ მოსწავლეების სწავლების მიმართ და მათთვის ინდივიდუალური გეგმების შემუშავებისთვის, ჩანს რომ მოსწავლეთა ინტერესების, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ხდება სასწავლო რესურსების შერჩევა და გარემოს ადაპტირება. **რჩევა:** • სასურველია, სრულყოფილად გაიწეროს მუსიკაში X კლ. სსსმ მოსწავლის დოკუმენტაცია; • სასურველია, მკაფიოდ გამოიკვეთოს მოსწავლეთა საჭიროებები და შესაბამისად დაიგეგმოს მოკლევადიანი მიზნები, კათედრის ოქმში მკაფიოდ გამოიკვეთოს კათედრის წევრების მიერ გათვალისწინებული დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მესვეურთა და საგნობრივი კათედრის მიერ დაგეგმილი და წარმართული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს სამივე საფეხურზე. საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, რომელშიც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და ხასიათის მქონე ინდივიდი, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს დიფერენცირებული სწავლის მიდგომებს. სასკოლო–სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს შეიმუშავოს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. სახელმწიფო ენის კურიკულუმი სამივე საფეხურზე წარმოდგენილია ძირითადი საკითხების, კონტექსტმაგალითებისა და კომპლექსური დავალების იდეების დონეზე.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ ისეთ რესურსებს და მეთოდებს, რომლებიც მათ ეხმარებათ სწავლის პროცესი იყოს ინკლუზიური, დიფერენცირებისათვის იყენებენ დიფერენცირების ინსტრუმენტებს, ასევე - მოდიფიცირებულ დავალებებს. ეს კი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინკლუზიურობას და დიფერენცირებულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	პედაგოგთან საუბრისას აღმოჩნდა, რომ ცდილობენ სასწავლო პროცესები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესაძლებლობებს. ჰყავთ სსსმ მოსწავლეც, რომელსაც სპორტის საგანში არ აქვს შეზღუდვები, ბავშვი სპორტში აქტიურია და არ ჩამოუვარდება თანატოლებს. მასწავლებელმა გამოთქვა მზაობა საჭიროების შემთხვევაში იქონიონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს განხორციელებული აქტივობები. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ნამდვილად ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. კურიკულუმებში (II-VI კლასები) შემოქმედებითი დავალებები დაგეგმილია ისე, რომ მათში ჩართვა შეძლოს სხვადასხვა მზაობისა და ინტერესის მქონე მოსწავლემ: კურიკულუმი მოსწავლეებს სთავაზობს არჩევანს, შეასრულონ დავალება მათთვის სასურველი ციფრული ინსტრუმენტით (მაგ. Minecraft, PowerPoint, Paint). მასწავლებლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მოსწავლეთა ცოდნის არათანაბარი დონის გამო გამოიყენება დიფერენცირებული მიდგომები.

	კურიკულუმი მოიცავს „სარეზერვო“ ან დამატებით აქტივობებს იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მუშაობას ვადაზე ადრე ასრულებენ, რაც ინდივიდუალური ტემპის გათვალისწინებაა. კათედრის ოქმის მიხედვით, ხდება მოსწავლეთა დიაგნოსტირება, რათა საჭიროების შემთხვევაში ისინი ჩაერთონ სარემედიაციო (დამხმარე) პროგრამაში. შეფასების სისტემა ეფუძნება მოსწავლის შემეცნებითი განვითარების სხვადასხვა დონეს, რაც მასწავლებელს საშუალებას აძლევს, თითოეულ მოსწავლეს მისცეს ინდივიდუალური უკუკავშირი. ამრიგად, დოკუმენტები ადასტურებს, რომ კურიკულუმი არ არის სტატიკური და ის მაქსიმალურად ერგება თითოეული მოსწავლის მოთხოვნებს. ასახული მიდგომები უზრუნველყოფს, რომ არცერთი მოსწავლე არ დარჩეს სასწავლო პროცესს მიღმა და თითოეულ მათგანს ჰქონდეს შესაძლებლობა, მიაღწიოს წარმატებას საკუთარი ტემპითა და შესაძლებლობებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაცით და გასაუბრებით დასტურდება, რომ პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინკლუზიური/დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებას. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. სასკოლო–სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს შეიმუშავოს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა შეფასებას ახორციელებს საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებებით. მონაცემები მუშავდება კათედრაზე და გაეცნობა სასკოლო საზოგადოებას. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა/ რუბრიკები საგნების მიხედვით ძირითადად სამიზნე ცნებებთან მიმართებაშია. მისი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა და მოსწავლეებში სწავლის თვითმართვის უნარის გამომუშავება. კურიკულუმები ძირითადად შედგენილია ესგ-ს მიერ შემოთავაზებული თემების მიხედვით. კურიკულუმებში ზოგ შემთხვევაში, მკაფიოდ არ ჩანს, რომელ შემოქმედებით პროდუქტზე უნდა იმუშაოს მოსწავლემ. წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **რჩევა:** • **დაწყებითი საფეხური-ბუნებისმეტყველება — მე-5 კლასის კურიკულუმი:** პირველლ თემაში -„კოსმოსი“- დავალების პირობა და კონტექსტ მაგალითი თემასთან აცდენილია. მაგ., დავალების პირობაა „ფრინველთა საბინადრო გარემოს მაკეტის შექმნა, განხილვა და გამოფენა“- დასაკორექტირებელია, რათა თემას შესაბამისი დავალებები ახლდეს თან. დასაკორექტირებელია ტერმინი „ცნება“. • მე-2 და მე-4 კლასისთვის ფოტომასალის სახით წარმოდგენილია მოსწავლეების მიერ შესრულებული შემოქმედებითი პროდუქტები, სასურველია, თან ახლდეს მოკლე აღწერილობა და შეფასების სქემა. • **საბაზო საფეხური, ბიოლოგია, მე-9 კლასის კურიკულუმი:** სასურველია, მე-3 თემაში დაკონკრეტდეს, რომელ შემოქმედებით პროდუქტს შექმნიან მოსწავლეები. • **ქიმია, მე-8 კლასის კურიკულუმი:** სასურველია, შედეგები დაკორექტირდეს, მაგ., პირველი თემის ბოლო სამიზნე ცნების შედეგების მსგავსად იყოს წარმოდგენილი. • **მე-9 კლასის კურიკულუმი:** სასურველია, შედეგები დაკორექტირდეს და პირველი თემის ბოლო სამიზნე ცნების შედეგების მსგავსად იყოს წარმოდგენილი.

	• **ფიზიკა, მე-7 კლასის კურიკულუმი:** სასურველია, მე-3 თემაში დაკონკრეტდეს, თუ რომელ შემოქმედებით პროდუქტს შექმნის მოსწავლე. • **მე-8 კლასის კურიკულუმი:** სასურველია, მე-2 თემაში (კონვექციის შესახებ) დაკონკრეტდეს, რომელ შემოქმედებით პროდუქტს შექმნის მოსწავლე. • **საშუალო საფეხური, ბიოლოგია:** მე-12 კლასის კურიკულუმში მე-2 თემის დავალება პირველ თემას შეესაბამება. სასურველია, დავალება თემას შეესაბამებოდეს. • **ქიმია, მე-12 კლასის კურიკულუმი:** კურიკულუმში მკაფიოდ არ ჩანს, რომელ შემოქმედებით პროდუქტს შექმნის მოსწავლე, სასურველია დაკონკრეტება. • **ფიზიკა:** საშუალო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ზოგადია და არ არის წარმოდგენილი კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტის შეფასება. სასურველია მეტად დაკონკრეტება. • წარმოდგენილია ფიზიკის შემოქმედებითი დავალებების ფოტომასალა, სასურველია დაკონკრეტდეს, რომელი კლასის მიერაა შესრულებული, მიზანი და რა შედეგს მიაღწევს მოსწავლე აღნიშნული დავალებების შესრულებისას, ასევე, სასურველია, თან ახლდეს შეფასების რუბრიკები. • სასურველია, ზემოთ აღნიშნული რჩევები გათვალისწინებული იქნას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. დოკუმენტაციით, კათედრის ხელმძღვანელთან და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ კათედრას აქვს მომავლის ხედვა, თუ როგორ უნდა მოახდინოს დაგეგმილი აქტივობების/მიღწევების შედეგის ანალიზი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწესებულებაში მოქმედი მოსწავლის შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს. სასწავლო პროცესში დომინირებს განმსაზღვრელი შეფასება, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე. კომპლექსური დავალებების შეფასებისას გამოიყენება განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების პრინციპები, რაც საშუალებას იძლევა ობიექტურად შეფასდეს მოსწავლის მიერ სამიზნე ცნებების დაუფლების

	დონე. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ორიენტირებულია ფუნქციური უნარების განვითარებაზე. **რჩევა:** სასურველია, წარმოდგენილი იყოს ყველა დავალების შეფასების რუბრიკა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **რჩევა:** სასურველია, უცხოური ენის კათედრამ სამივე საფეხურზე უფრო კონკრეტული და დეტალურად გაწერილი შეფასების რუბრიკები გამოიყენოს, რომლებიც ეფუძნება სამიზნე ცნებებსა და მათთან დაკავშირებულ სწავლის შედეგებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები სახვითი და გამოყენებით ხელოვნებაში და მუსიკაში. **რჩევა:** • სასურველია, კათედრაზე, დაწყებითი და საბაზო საფეხურზე, შეიქმნას: განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კურიკულუმში გაწერილი თემების ფარგლებში - სამიზნე ცნების, მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით, შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით. სასურველია, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში V-VI კლასიდან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნისას გაითვალისწინოთ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა ცნება - 1. სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები), 2. სახვითი ხელოვნების ტექნიკა, 3. სახვითი ხელოვნების დარგები, 4. ჟანრები, 5.

	სხვადასხვა ეპოქის/ კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/ მხატვრული მახასიათებლები. • სასურველია პროექტული სწავლების (X-XI კლ.) ფასილიტაციის და აქტიური მონიტორინგის შედეგები კონკრეტულად აისახოს შესაბამისი სავალდებულო პროექტის მიმდინარე და შემაჯამებელ შეფასების რუბრიკებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის დოკუმენტაციის გაცნობისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის სწავლებისას. სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის კურიკულუმებში კათედრის მიერ განსაზღვრულია დავალებები, შეფასების რუბრიკებით, რომლებიც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. საგნობრივი კურიკულუმები გვიჩვენებს, რომ აქცენტი კეთდება სწავლის სწავლასა და მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე. ინტერვიუს დროს პედაგოგების მიერ აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს აგრეთვე მათ მიერ დაგეგმილი დავალებებით სწავლა-სწავლებასა და დავალების პირობის სრულყოფაზე - ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიან წარმართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ტიპი, როგორიცაა ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების ცხრილები, პრეზენტაციის და საშინაო დავალების შეფასების კრიტერიუმები, საკლასო მუშაობის შეფასების რუბრიკები, თუმცა ეს შეფასებები ზოგადი ხასიათისაა და აკლია კონკრეტიკა კონტექსტის მიხედვით (გამონაკლისების გარდა). ვიზიტის დროს მასწავლებლები საუბრობდნენ, რომ იყენებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, მოთხოვნის საფუძველზე სკოლამ წარმოადგინა

	შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიმართულა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კრიტერიუმებზე, თუმცა აკლია აკადემიურობა. **რჩევა:** სკოლის მიერ წარმოდგენილ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს აკლია აკადემიურობა, რაც გულისხმობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული რუბრიკების გამოყენებას, რომელთა გაცნობაც მოსწავლეებს უვითარებს მეტაკოგნიტურ უნარებს, ხოლო მასწავლებელს საშუალებას აძლევს, ობიექტურად შეაფასოს მოსწავლის ცოდნა და უნარები. სასურველია, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები წარმოდგენილი იყოს მესამე თაობის ესგ-თი განსაზღვრული რუბრიკების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლამ სამივე საფეხურზე წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ყველა მათგანი ემყარება საგნობრივ სტანდარტს. **რჩევა:** სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურზე შეფასების რუბრიკები შეადგინონ კურიკულუმში შეტანილი ყველა თემის მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმები და შეფასების რუბრიკები იძლევა სრულ საფუძველს იმის დასასაბუთებლად, რომ მოსწავლის შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით (ესგ) განსაზღვრულ პრინციპებსა და ამოცანებს. მასწავლებლის ანგარიშის მიხედვით, აქცენტი კეთდება შეფასებაზე, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე, მუდმივ მონიტორინგსა და კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდებაზე, რაც ესგ-ის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა. შეფასების რუბრიკები აგებულია სოლო ტაქსონომიის დონეების მიხედვით (პრესტრუქტურულიდან აბსტრაქტულ დონემდე), რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს არა

	მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნა, არამედ მოსწავლის შემეცნებითი განვითარების ხარისხი და ცოდნის გააზრების სიღრმე. რუბრიკები მორგებულია კომპლექსურ დავალებებზე, სადაც ფასდება სამიზნე ცნებების დაუფლების ხარისხი. ეს პირდაპირ ეხმიანება მესამე თაობის ესგ-ის მიზანს — მოსწავლემ შეძლოს ცოდნის ფუნქციურად გამოყენება. კურიკულუმში გაწერილია მოსწავლეთა ჩართულობა შეფასების პროცესში, რაც ხელს უწყობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას და პასუხისმგებლობის გაზრდას საკუთარ სწავლაზე. მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი შეფასების კრიტერიუმებისა და ფორმატების შესახებ, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სამართლიანობას. დოკუმენტაციაში ასახული შეფასების სისტემა წარმოადგენს არა მხოლოდ ცოდნის შემოწმების, არამედ სწავლების განუყოფელ ნაწილს, რაც სრულად შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებს. **რჩევა:** შეიქმნას კონკრეტულ თემაზე /საკითხზე სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილია დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ., მე და საზოგადოება III-IVკლ.) განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ დავალებას მორგებული, რომლების ადასტურებს, რომ შეფასება ეყრდნობა საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. განმავითარებელი კომენტარით აღწერილია მოსწავლეთა განვითარების დინამიკა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი 36-დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
2. დანართი 51-საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
3. დანართი 54-საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
4. ბრძანება 2-32 (რემედიაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ);
5. დანართი 37-სასკოლო სასწავლო გეგმა;
6. დანართი 44-(რემედიაციის მექანიზმი);
7. დანართი 47 (შეფასების კრიტერიუმები);
8. დანართი 49-საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
9. დანართი 53-საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
10. კათედრის გეგმა 2025-2026 -დაწყებითი კლასები;
11. ხარისხის უზრუნველყოფის დებულება;
12. დანართი 3. საკოლო საზ შეხვედრის ოქმი;
13. დანართი 5.ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
14. დანართი 6 სტრატეგ.დაგეგმარ.მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
15. დანართი 4 შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
16. სამეურვეო საბჭოს ოქმი 6;
17. დანართი 2.28 რემედიაციის დებულება;
18. დანართი 57 ინკლუზიური განათლების პოლიტიკის დოკუმენტი;
19. 5 კლ-განმავითარებელი შეფასება;
20. 6კლ განმსაზღვრელი შეფასება;
21. ბუნება 3 შემოქმედებითი;
22. ბუნება 2 შემოქმედებითი;
23. 8 კლ განმსაზღვრელი შეფასება;

24. 9 კლ განმავითარებელი შეფასება;
25. მე-10 კლ რუბრიკა ქიმია;
26. საბაზო საფ. ფიზიკის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;
27. საბაზო საფ. ფიზიკის განმსაზღვრელი სეფასების რუბრიკა;
28. 11კლასი განმსაზღვრელი შეფასება;
29. 12 კლასი-განმავითარებელი შეფასება;
30. შემოქმედებითი დავალებები.
31. დაწყებითი, საბაზო და საშულო საფეხურის კურიკულუმები;
32. სასწავლო რესუსების ამსახველი მასალა;
33. სსსმ მოსწავლის ინდ. გეგმა;
34. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.;
35. სასკოლო სასწავლო გეგემა 2025-2026 სასწ. წელი;
36. კათედრის ოქმი N 1N2;
37. ვერიფიკაციის მექანიზმის დოკ;
38. კათედრის დებულება;
39. სკოლის და ნამუშევრების ფოტო მასალა
40. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
41. განხორციელებული შემოქმედებითი დავალებები მოსწავლის ნამუშევრით

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მასწავლებლები კათედრებზე აქტიურად თანამშრომლობენ სასკოლო კურიკულუმის განხორციელებასა და განვითარებაზე. სისტემატურად ხდება პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ურთიერთდახმარება. იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილები, ურთიერთდასწრება. სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი სკოლაში წარიმართება დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომელიც ასახულია კათედრის გეგმაში და სასკოლო სასწავლო გეგმაში. საგაკვეთილო პროცესი სტრუქტურირებულია თემატური მატრიცების მიხედვით, სადაც აქცენტი კეთდება სამიზნე ცნებების დაუფლებაზე. კომპლექსური დავალებები ინტეგრირებულია სასწავლო ციკლში და მათი განხორციელების ეტაპები ლოგიკურ

	კავშირშია კურიკულუმით განსაზღვრულ აქტივობებთან. მასწავლებლები ავლენენ კურიკულუმის პრაქტიკაში რეალიზების მაღალ კომპეტენციას, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებისა და კათედრასთან ჩატარებული გასაუბრების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ უცხოური ენის კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ხასიათდება სისტემურობით, მიზნობრიობითა და კურიკულუმთან თანხვედრით. სწავლების დაგეგმვა ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს როგორც თემატური ერთეულების, ისე სასწავლო აქტივობებისა და მიზნების ლოგიკურ და თანმიმდევრულ განვითარებას. კათედრის მიერ განხორციელებული პროექტული სწავლება დამატებით ამდიდრებს საგანმანათლებლო პროცესს, ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდას, კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობისა და კომუნიკაციური უნარების განვითარებას. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის ხელსაყრელ პირობებს მოსწავლეთა კომპეტენციების განვითარებისა და კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზდრის კათედრაზე, **დაწყებით და საბაზო საფეხურზე,** წარმოდგენილი მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში უმეტესად გაწერილია გრძელვადიანი მიზნები. თემატური ბლოკებსა და თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, რომელთა დაძლევას/გააზრებას ემსახურება თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები, განსაზღვრულია ქვეცნებები. კურიკულუმებში წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალების იდეები, რაც ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს პროცესს. **რჩევა:** • **საშუალო საფეხურზე** წარმოდგენილი დოკუმენტი წარმოადგენს სავალდებულო პროექტების ჩამონათვალს (და არა არჩეულს) სტანდარტიდან. სასურველია, დაზუსტდეს- რომელი ტიპის პროექტს ირჩევს მოსწავლე/მოსწავლეთა ჯგუფი/სკოლა და რა თანმიმდევრობით.

	• მუსიკა - საშუალო საფეხურზე (პროექტი) საგანი ისწავლება სავალდებულო პროექტების სახით, თითოეულ პროექტზე მუშაობა მიმდინარეობს 1 სემესტრის განმავლობაში. საგანში უნდა განხორციელდეს 2 პროექტი. • სასურველია კათედრამ წლის ბოლოს დაგეგმოს კურიკულუმის ანალიზი და სამუშაო პროცესის გაანალიზების და შედეგების შეჯამების შემდეგ, პროცესში წარმოშობილი წინააღმდეგობების შესაბამისად, ცვლილებები შეიტანოს კურიკულუმში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის დოკუმენტაციის ანალიზისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი სკოლის სამივე საფეხურზე დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის სასკოლო კურიკულუმში უზრუნველყოფილია სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება. საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით თემების ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები, მკაფიოდ ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, კურიკულუმის ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, მასწავლებლებმა იმუშავეს დაგეგმილი კომპლექსური დავალებების შესრულებაზე, რის დასტურადაც კათედრამ წარმოადგინა რესურსები, რომელიც განაპირობებს დაგეგმილის მიხედვით სასწავლო პროცესის განხორციელებას. ასევე, იმ შემოქმედებითი დავალების ნიმუშები, მოსწავლეების მიერ შესრულებული ნამუშევრების სურათები, პრეზენტაციები, რომელთა განხორციელებაც კურიკულუმების მიხედვით იყო დაგეგმილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში (სამივე საფეხურისათვის), პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც მოახერხებენ სასწავლო პროცესის წარმართვისას, სკოლის ბაზაზე არსებული, ინფრასტრუქტურის მიხედვით. პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა (სასკოლო ფესტივალები), არაფორმალური განათლების მხრივ აქტივობებში ჩართონ მოსწავლეები. სასწავლო პროცესი გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე - მოსწავლეების საფეხურის შესაბამის შედეგზე გასაყვანად. სკოლა აქტიურად ასპარეზობს რაიონულ და რეგიონალურ შეჯიბრებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის სრული შესაბამისობით. კურიკულუმში გაწერილი თემები (მაგალითად: „კომპიუტერული მოწყობილობები“, „ალგორითმები“, „ვიზუალური პროგრამირება“) ემთხვევა პრაქტიკულად განხორციელებულ აქტივობებსა და კომპლექსურ დავალებებს. სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები (School.emis.ge, Scratch, Code.org) ზუსტად შეესაბამება კურიკულუმსა და კათედრის მიერ დამტკიცებულ სასწავლო რესურსების ჩამონათვალს. პრაქტიკაში გამოყენებული შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები გამომდინარეობს კურიკულუმით განსაზღვრული სამიზნე ცნებებიდან და შედეგებიდან. კათედრის ოქმები ადასტურებს, რომ პედაგოგები რეგულარულად განიხილავენ კურიკულუმით გათვალისწინებული შემაჯამებელი დავალებების შესრულებასა და დიაგნოსტირებას.

	მასწავლებლის ანგარიშიდან ჩანს, რომ პროცესი არა მხოლოდ მიჰყვება გეგმას, არამედ კურიკულუმის გადახედვა და დახვეწა ხდება წლის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე. ამრიგად, კურიკულუმი წარმოადგენს სასწავლო პროცესის წარმართვის მთავარ სახელმძღვანელო დოკუმენტს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი დაწყებით კლასებში დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ამ პროცესში მუშავდება სამიზნე ცნებები და სტანდარტის შედეგები. სწავლება მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება დავალების შეცვლა, კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელება სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა სასწავლო პროცესში ავლენს მოქნილ მიდგომას და რეაგირებს როგორც მოსწავლეთა ინდივიდუალურ, ისე სასწავლო პროცესისა და სასკოლო გარემოსთან დაკავშირებულ შემხვედრ საჭიროებებზე.

მცირე კონტინგენტის პირობებში საჭიროებების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირება ხორციელდება უშუალოდ სასწავლო პროცესში, რაც უზრუნველყოფს სწრაფ და ოპერატიულ მხარდაჭერას. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ინდივიდუალურ მიდგომას, ახორციელებენ დამატებით განმარტებებს და საჭიროების შესაბამისად ცვლიან სწავლების სტრატეგიებს.

ამასთან, სკოლაში შემუშავებულია მხარდამჭერი მექანიზმებიც (მაგ., რემედიაციის პროგრამა), რომლებიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მოსწავლეთა აკადემიური სირთულეების სისტემურ გადაჭრას, თუმცა პრაქტიკაში მხარდაჭერა ხშირად ხორციელდება უშუალოდ საგაკვეთილო პროცესში, ინდივიდუალური მუშაობის გზით.

სკოლა ასევე რეაგირებს სასკოლო საზოგადოების საჭიროებებზე — კომუნიკაცია მშობლებთან ხორციელდება ოპერატიულად, რაც ხელს უწყობს პრობლემების დროულ იდენტიფიცირებასა და გადაჭრას.

აღნიშნული მიუთითებს, რომ სკოლა ახდენს სასწავლო პროცესის მოქნილად ადაპტირებას რეალურ საჭიროებებზე, თუმცა ნაკლებად იკვეთება აღნიშნული პროცესების სისტემური დოკუმენტირება და ანალიზი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა კათედრის მიერ, რომელიც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია და ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის, შეფასებას სამი კომპონენტით ახორციელებენ, საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი დავალებები. დოკუმენტაციით, კათედრის ხელმძღვანელთან და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ კათედრას აქვს მომავლის ხედვა, თუ როგორ უნდა მოახდინოს დაგეგმილი აქტივობების/მიღწევების შედეგის ანალიზი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწესებულებაში მოქმედი შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს. კათედრასთან შეხვედრის დროს აღნიშნეს პედაგოგებმა, რომ შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის ცნობილი მოსწავლეებისთვის. შეფასება პირდაპირ კავშირშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. დანერგილი ვერიფიკაციის მექანიზმები და რუბრიკები უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობასა და სანდოობას. სისტემა ორიენტირებულია არა მხოლოდ მიღწევების ფიქსაციაზე, არამედ მოსწავლის შემდგომი განვითარების სტიმულირებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	სკოლაში დანერგილი შეფასების სისტემა შეესაბამება შეფასების ძირითად პრინციპებს და ხასიათდება ვალიდურობით, გამჭვირვალობით, სანდოობით, ობიექტურობითა და სამართლიანობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკის და სახვით და გამოყენებით ხელოვნების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დადგინდეს, რომ კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განსმაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები. რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს, მორგებულია სასწავლო თემებზე და სამიზნე ცნებებზე. მოსწავლეთათვის შეფასების რუბრიკები ნაცნობია, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური. **რჩევა:** • სასურველია, მუსიკის საგანში შეიქმნას: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კურიკულუმში გაწერილი თემების ფარგლებში სამიზნე ცნების, მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით. • სასურველია, პროექტული სწავლების (X-XI კლ.) ფასილიტაციის, პროცესის ამსახველი და აქტიური მონიტორინგის შედეგები კონკრეტულად აისახოს შეფასების რუბრიკებში. დაკონკრეტდეს შეფასების კომპონენტები - ჩანდეს სამიზნე ცნებები, საგნის სტანდარტის მისაღწევი შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ სკოლაში სამივე საფეხურზე ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა. შეფასების სისტემა საკლასო და სასკოლო დონეზე შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს ჰქონდეს ინფორმაცია მოსწავლის პროგრესის შესახებ სწავლის პროცესში,

	ასევე ეხმარება მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე და გააუმჯობესოს მიღწეევები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. მათემატიკის კათედრამ წარმოადგინა სხვადასხვა სახის შეფასების რუბრიკების ნიმუშები და მოცემული თემის შესაბამისი ტესტები, სადაც დავალებებს მინიჭებული აქვს ქულები. ასევე, სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებსაც აკლია მკაფიოობა და მოცემული თემის შეფასების ესგ-თი განსაზღვრულობა. **რჩევა:** სასურველია, მათემატიკის კათედრამ შექმნას შეფასების ისეთი რუბრიკები, რომლებიც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვითაა განსაზღვრული, რაც მათ მეტ აკადემიურობას შესძენს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები და სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, დიაგნოსტირების დოკუმენტები შემუშავებული ესგ-ს მოთხოვნების გათვალისწინებით და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასკოლო შეფასების სისტემა აკმაყოფილებს ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასება ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებსა და შედეგებს. რუბრიკები პირდაპირ ზომავს იმას, რისი სწავლებაც იყო დაგეგმილი (მაგალითად, ალგორითმების შექმნა ან ციფრული პროდუქტის შექმნა), რაც უზრუნველყოფს შეფასების შინაარსობრივ ვალიდურობას.

	კათედრის ოქმებში ხაზგასმულია, რომ მოსწავლეები ყოველთვის წინასწარ არიან ინფორმირებულნი შემაჯამებელი დავალების ფორმატის, ვადებისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ. მასწავლებლის ანგარიში კი მიუთითებს რუბრიკების გამოყენებაზე, რაც მოსწავლისთვის გასაგებს ხდის, თუ რის საფუძველზე იწერება კონკრეტული შეფასება. სისტემა იყენებს სოლო (SOLO) ტაქსონომიას, რომელიც ეყრდნობა დაკვირვებად და გაზომვად კრიტერიუმებს. რაც გამორიცხავს სუბიექტურ მიდგომებს და უზრუნველყოფს, რომ მიღებული შედეგი იყოს თანმიმდევრული და ობიექტური. შეფასება მორგებულია მოსწავლეთა არჩევანზე (მაგალითად, დავალების შესრულების სხვადასხვა ციფრული ინსტრუმენტი), რაც ყველას აძლევს თვითგამოხატვის თანაბარ შესაძლებლობას. სისტემა მოსწავლეს ეხმარება საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დანახვასა და წინსვლაში. ამრიგად, დოკუმენტებში წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები და პროცედურები ქმნის საიმედო გარემოს მოსწავლის აკადემიური წინსვლის სამართლიანი ასახვისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების შეფასების რუბრიკები ვალიდურია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტებთან. სანდოა, რადგან წარმოდგენილია შესაბამისი კრიტერიუმებით. სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების ინსტრუმენტებზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები. ყოველივე დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებით და კათედრის წევრებთან გასაუბრებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში წარმოდგენილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასების პრაქტიკის შესაბამისობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფას.

ვერიფიკაციის პროცესში განიხილება შეფასების შედეგები, შემაჯამებელი დავალებები და შესაბამისი დოკუმენტაცია, რაც ქმნის შეფასების პროცესის გადამოწმების შესაძლებლობას.

ამასთან, წარმოდგენილი მექანიზმი მეტწილად ორიენტირებულია შეფასების შედეგების გადამოწმებაზე და ნაკლებად იკვეთება მისი გამოყენება სასწავლო პროცესის სისტემური გაუმჯობესებისათვის, რაც გარკვეულწილად ზღუდავს ვერიფიკაციის, როგორც განვითარების ინსტრუმენტის ფუნქციას.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული მექანიზმის არსებობა და მისი გამოყენების მცდელობა დადებითად უნდა შეფასდეს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლაში ხორციელდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა, რაც მოიცავს როგორც ელექტრონულ, ისე მატერიალურ ფორმატში არსებულ დოკუმენტაციას.

მოსწავლეთა შეფასების შედეგები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია ინახება ელექტრონულ ჟურნალში, ხოლო დამატებითი დოკუმენტაცია (შემაჯამებელი დავალებები, ანალიზის ფორმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და სხვა) წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტაციის სახით. აღნიშნული მიუთითებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს მონაცემთა შენახვას და მათ ხელმისაწვდომობას საჭიროების შემთხვევაში.

ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია სრულად არ არის ინტეგრირებული ერთიან ელექტრონულ სისტემაში, რაც გარკვეულწილად ზღუდავს მონაცემთა ცენტრალიზებულ მართვას.

რჩევა: მიზანშეწონილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების ერთიან ელექტრონულ სივრცეში სრულად ინტეგრაცია, რაც ხელს შეუწყობს ინფორმაციის მართვის ეფექტიანობასა და ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი 36-დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
2. დანართი 51-საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
3. დანართი 54-საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
4. ბრძანება 2-32 (რემედიაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ);
5. დანართი 37-სასკოლო სასწავლო გეგმა;
6. დანართი 44-(რემედიაციის მექანიზმი);
7. დანართი 47 (შეფასების კრიტერიუმები);
8. დანართი 49-საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
9. დანართი 53-საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
10. ხარისხის უზრუნველყოფის დებულება;
11. დანართი 40-ვერიფიკაციის დებულება;
12. დიაგნოსტირება-ბიოლოგია;
13. ქიმია-რუბრიკები;
14. დანართი 38-შეფასების რუბრიკები;
15. შემოქმედებითი დავალებები.
16. 5 კლ-განმავითარებელი შეფასება;
17. 6კლ განმსაზღვრელი შეფასება;
18. ბუნება 3 შემოქმედებითი;
19. ბუნება 2 შემოქმედებითი;
20. 8 კლ განმსაზღვრელი შეფასება;
21. 9 კლ განმავითარებელი შეფასება;
22. მე-10 კლ რუბრიკა ქიმია;

23. საბაზო საფ. ფიზიკის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;
24. საბაზო საფ. ფიზიკის განმსაზღვრელი სეფასების რუბრიკა;
25. 11კლასი განმსაზღვრელი შეფასება;
26. 12 კლასი-განმავითარებელი შეფასება;
27. დაწყებითი, საბაზო და საშულო საფეხურის კურიკულუმები;
28. სასწავლო რესუსების ამსახველი მასალა;
29. სსსმ მოსწავლის ინდ. გეგმა;
30. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.;
31. სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 სასწ. წელი;
32. კათედრის ოქმი N 1N2;

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები არის სახელმძღვანელო და ელ. რესურსები, გარკვეული ხელსაწყოები, მულაჟები. სკოლას აქვს ლაბორატორია, აქვს გარკვეული რაოდენობის ჭურჭელი, ხელსაწყოები და რეაქტივები, რაც ზოგიერთი უსაფრთხო ცდის ჩატარების საშუალებას იძლევა. (ლაბორატორიის კეთილმოწყობის გეგმა სკოლას შესაბამისობის გეგმაში აქვს გაწერილი). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები. საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას მასწავლებლები ეფექტურად ახდენენ სახელმძღვანელოსა და დამატებითი წყაროების (რუკები, საარქივო დოკუმენტები, ციფრული მასალები) ინტეგრირებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მხრიდან საკითხის მრავალმხრივ გააზრებას. რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით და პირდაპირ ემსახურება კომპლექსური დავალებების წარმატებით შესრულებასა და სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრა სასწავლო პროცესში ძირითად რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, რაც უზრუნველყოფს სწავლების სტრუქტურირებულობასა და კურიკულუმთან შესაბამისობას. ამასთანავე, კურიკულუმებში გათვალისწინებულია დამხმარე რესურსები, მათ შორის ვიდეო მასალა, რომელიც მიმართულია მოსწავლეთა ლექსიკურ–ენობრივი უნარების განვითარებაზე. **რჩევა:** სამივე საფეხურზე, კურიკულუმის სრულყოფის მიზნით, სასურველია უცხოური ენის კათედრამ უფრო დეტალურად და სისტემურად ასახოს ის დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რომელთა გამოყენებაზეც მასწავლებლებმა გასაუბრებისას ისაუბრეს. აღნიშნული რესურსების კურიკულუმში ასახვა ხელს შეუწყობს მათ მიზნობრივად და თანმიმდევრულად გამოყენებას, გააძლიერებს სასწავლო პროცესის დაგეგმვის ხარისხს და უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პრაქტიკის მეტ გამჭვირვალობასა და ერთიანობას. ასევე, ეს პრაქტიკა დაეხმარება სხვა პედაგოგებს მოახდინონ აღნიშნული რესურსების ეფექტიანად ინტეგრირება თავიანთ სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კათედრა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ამასთან დამხმარე რესურსად მუსიკის საგანი იყენებს სამინისტროს მიერ შეთავაზებულ ონლაინ რესურსებს, როგორც თემებისა და საკითხების სახით, აგრეთვე ვიდეო-აუდიო რესურსის ფორმატით. სკოლას აქვს მატერიალური რესურსები, საკრავით აღჭურვილი

	ოთახი, კომპიუტერები და შეუძლია სხვადასხვა ელექტრონული ბმულების, აუდიო თუ ვიდეო მასალის გამოსაყენებლად ინტერნეტთან წვდომა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის საგნობრივი კურიკულუმით სწავლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი საბაზო და საშუალო) სასწავლო პროცესში გამოიყენება ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. გამოიყენება გრიფირებული სახელმძღვანელოები, სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება, ონლაინრესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სკოლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსების გამოყენებით, სკოლამ წარმოადგინა გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე დამხმარე რესურსების ჩამონათვალი, ეს რესურსები კი საკითხების მიხედვითაა მითითებული (ბმულებითაა ჩაშენებული) კურიკულუმებში. **რჩევა**: სასურველია, კურიკულუმებში მითითებული ბმულების სათაურებში ჩანდეს, თუ რა საკითხს შეეხება ეს რესურსი, რაც გაამარტივებს მოცემული საკითხის შესაბამისი რელევანტური რესურსის პოვნას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლა აქტიურად იყენებს ყველა საჭირო რესურს რაც ნათლად ჩანს სასკოლო კურიკულუმებში, რომელიც წარმოდგენილია ლინკების სახით. ეს რესურსები ეხმარება მოსწავლეებს უკეთ გაიგონ და მიაღწიონ სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლებისას, ვინაიდან გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო არ არის ხელმისაწვდომი, მასწავლებელი იყენებს კურიკულუმით

	განსაზღვრულ ციფრულ პლატფორმებს: **Code.org**, **Scratch**, **Khan Academy** და **Microsoft Office 365**. პედაგოგი იყენებს სავარჯიშოების კრებულს, რომელიც კურიკულუმში დაფიქსირებულია როგორც დამხმარე რესურსი. სასწავლო პროცესში გამოიყენება ინტერნეტში მოძიებული ფოტომასალა, იუთუბ (YouTube) ვიდეოები და საგანმანათლებლო პორტალები (el.ge, school.emis.ge). მოსწავლეები დავალებების შესასრულებლად იყენებენ ისეთ პროგრამებს, როგორიცაა **Paint**, **PowerPoint** და **Minecraft**, რაც პირდაპირ არის გაწერილი სასწავლო აქტივობებში. მასწავლებლის ანგარიშიდან ჩანს, რომ მიუხედავად ტექნიკური რესურსების (კომპიუტერების) არასაკმარისი რაოდენობისა, პედაგოგი მაქსიმალურად ახერხებს კურიკულუმით გათვალისწინებული ციფრული და დამხმარე რესურსების სასწავლო პროცესში რეალიზებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის წევრებმა დაადასტურეს, რომ დაწყებითი კლასების წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულ რესურსებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას შემუშავებული აქვს დამხმარე რესურსების ვალიდაციის წესი. წარმოდგენილია აქვს დამხმარე რესურსების ვალიდაციის ოქმები-დაწყებითი საფეხურის, საბაზო საფეხურის, საშუალო საფეხურის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში დანერგილია დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის ქმედითი სისტემა. საგნობრივი კათედრები რეგულარულად ახორციელებენ სახელმძღვანელოს მიღმა გამოსაყენებელი მასალების (ციფრული რესურსები, არაფორმალურ გარემოში ჩატარებული გაკვეთილები, რომელიც კათედრაზე ერთობლივი შეთანხმებით იგეგმება) რევიზიას, რათა უზრუნველყონ მათი აკადემიური სიზუსტე და ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან შესაბამისობა. ვალიდაციის პროცესი ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რაც გამორიცხავს სასწავლო პროცესში არასანდო ან ასაკობრივად შეუსაბამო მასალების მოხვედრას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლაში უზრუნველყოფილია დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესი, რომელიც სისტემურად და მიზნობრივად ხორციელდება. აღნიშნულ პროცესში აქტიურად არიან ჩართული უცხოური ენების კათედრის წარმომადგენლები, რაც ხელს უწყობს რესურსების შესაბამისობისა და ხარისხის უზრუნველყოფას, მათ შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან და კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის საგნობრივი მიმართულებით სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით თვალსაჩინოა, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების გამოყენებას სასწავლო პროცესში. ეს დასტურდება გაკვეთილების შეფასების ფორმებითა და ანალიზით. ასევე ონლაინრესურსების, ანიმაციებისა და დამხმარე ლიტერატურის გამოყენებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა კათედრის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია(კათედრის მუშაობის ოქმი და კათედრის სამუშაო გეგმა), საიდანაც ჩანს, რომ მათემატიკის კათედრაზე ხდება რესურსების შერჩევა და მათი ვალიდაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლაში არსებული რესურსები საჯაროა და ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და სკოლაში დასაქმებული სხვა პერსონალისთვის. კურიკულუმში გაწერილი რესურსიც ადასტურებს, რომ ისინი ახდენენ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისი რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	„კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ საფუძველზე, დასტურდება, რომ სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. კურიკულუმის შემუშავების ფაზაში კათედრის ყველა მასწავლებელი ერთობლივად თანხმდება იმ ძირითად და დამხმარე რესურსებზე, რომლებსაც გამოიყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში. მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლას აქვს უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ გაამდიდროს სასწავლო პროცესი დამატებითი რესურსებით. ოქმები ადასტურებენ, რომ მათემატიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრა რეგულარულად ახდენს რესურსების სიის დოკუმენტირებას (მაგ., დამხმარე სავარჯიშების კრებული, ელექტრონული პლატფორმები - Khan Academy, Code.org, school.emis.ge) არის სახელმწიფო ან საერთაშორისო დონეზე აღიარებული პლატფორმები, რაც თავისთავად გულისხმობს მათ ვალიდაციას სასწავლო მიზნებისთვის. სკოლა მუდმივად აანალიზებს, რამდენად იძლევა გამოყენებული აქტივობები და რესურსები სასურველ შედეგს და ამ მონაცემების საფუძველზე ყოველწლიურად აახლებს კურიკულუმს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	პედაგოგებმა გასაუბრების პროცესში აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე, სადაც მოწმდება ეს თუ ის რესურსი შეესაბამება თუ არა ესგ-ით საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნებს, ეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს, როგორიცაა მოსწავლეზე ორიენტირება, მათ საჭიროებაზე მორგება, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინება და ა შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას აქვს გარკვეული რაოდენობის ლაბორატორიული ჭურჭელი (მცირე რაოდენობით), ხელსაწყოები და რეაქტივები. **რჩევა:** სასურველია, რეაქტივებს, დასახელების გარდა ეტიკეტზე ეწეროს, მაგ.: „შხამი“ და, ა.შ. ასევე, სასურველია, კარადა, სადაც აღნიშნული რეაქტივები ინახება, საკეტით იკეტებოდეს. **რეკომენდაცია:** სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.01.2026 - 31.12.2026) უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიის რესურსებით სრულად უზრუნველყოფა. **საბაზო და საშუალო საფეხურზე ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად შეესაბამება საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. საკლასო ოთახები აღჭურვილია საჭირო თვალსაჩინოებებითა და ტექნოლოგიური რესურსებით, რაც ხელს უწყობს სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებას. დაცულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, რაც ქმნის უსაფრთხო და კომფორტულ გარემოს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისთვის. მატერიალური რესურსების განაწილება და ხელმისაწვდომობა თანაბარია ყველა მოსწავლისთვის, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობს **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კათედრის წევრებთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებლებს შესაბამისი მატერიალური რესურსებით, რაც ქმნის წინაპირობას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისი სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე წარმოდგენილია სწავლის შედეგების მისაღწევი სხვადასხვა რესურსები: თვალსაჩინოებები, პრეზენტაციები, ონლაინ და მატერიალური რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის საგნობრივი მიმართულების სამივე საფეხურით სწავლების პროცესისათვის სკოლა იყენებს შესაბამის მატერიალურ რესურსს მოსწავლეთა განსაზღვრული რაოდენობის შესაბამისად. შესაბამისი სასწავლო გარემოს, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოებისა და ონლაინრესურსების მეშვეობით მიიღწევა კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს ისტ ტექნოლოგიების კაბინეტს, რომელიც სკოლის მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი არაა, თუმცა სკოლამ ეს საკითხი ასახა შესაბამისობის გეგმაში. ტექნოლოგიების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესს უფრო საინტერესოს და სახალისოს ქმნის და ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებას და მათი შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლამ წარმოადგინა სურთები სადაც ჩანს: სკოლის დარბაზი , გარე მოედანი , ბურთები , მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა. მოსწავლეები აღჭურვილნი არიან შესაბამისი სპორტული ფორმებით. კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული მატერიალური რესურსით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დამხმარე რესურსები არის კათედრის სხდომაზე შეთანხმებული, რესურსი არის ვალიდური და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას არ აქვს სათანადოდ აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორიია, რაც ვერ იძლევა საშუალებას თითოეულ მოსწავლეს ჰქონდეს პირდაპირი წვდომა კომპიუტერულ რესურსზე; პრობლემაა ინტერნეტკავშირიც, რაც აუცილებელია ელექტრონული პლატფორმების (emis.ge, code.org, Scratch) გამოყენებისთვის; მოსწავლეთა ადგილების რაოდენობა აღემატება რესურსის შესაძლებლობებს: საგაკვეთილო პროცესში თითოეულ მოსწავლეს არ ეძლევა ინდივიდუალური მუშაობის საშუალება, რაც ქმნის არათანაბარ პირობებს რესურსზე წვდომისთვის; **რეკომენდაცია:** სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.01.2026 - 31.12.2026) უზრუნველყოს კომპიუტერული ლაბორატორიის საკმარისი რაოდენობის კომპიუტერით აღჭურვა.

	ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, თვალსაჩინოებები, ტაბულები და სხვა, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. სკოლა აქვს მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. ყოველივე წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლა უზრუნველყოფილია კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსით, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და სასწავლო პროცესის მოთხოვნებს.
სასწავლო პროცესში ჩართული არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე საგნის მასწავლებლები და დამრიგებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას.
ამასთან, სკოლაში წარმოდგენილია სპეციალური მასწავლებელი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერისთვის და უზრუნველყოფს ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებას სასწავლო პროცესში.
მცირე კონტინგენტის პირობებში არსებული ადამიანური რესურსი საკმარისია სასწავლო პროცესის ეფექტიანი ორგანიზებისთვის და იძლევა თითოეულ მოსწავლეზე ინდივიდუალური ყურადღების გამახვილების შესაძლებლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი 36-დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
2. დანართი 51-საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
3. დანართი 54-საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
4. ბრძანება 2-31(კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია);
5. დანართი 47 (შეფასების კრიტერიუმები);
6. დანართი 49-საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
7. დანართი 53-საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
8. ელ.რესურსების ვალიდაციის ოქმი;
9. მოწოდებული ფოტომასალა
10. სამივე საფეხურის კურიკულუმები მათემატიკაში
11. ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების ნიმუშები
12. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ნიმუშები
13. გრიფირებული და დამატებითი სახელმძღვანელოების და ელექტრონული რესურსების ნუსხა
14. კათედრის სამუშაო გეგმა და სხდომის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**
   სკოლის მიერ წარმოდგენილია მონიტორინგისა და შეფასების სხვადასხვა მექანიზმი, მათ შორის: გაკვეთილზე დაკვირვება, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნული ინსტრუმენტები ფორმალურად შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ მიდგომებს და მოიცავს სასწავლო პროცესის სხვადასხვა ასპექტს.
   ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზი ცხადყოფს, რომ თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები მეტწილად აღწერითი ხასიათისაა და ნაკლებად ასახავს კრიტერიუმებზე დაფუძნებულ უკუკავშირს, რაც გარკვეულწილად ზღუდავს მათი გამოყენების ეფექტიანობას მონიტორინგის ინსტრუმენტად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილია დიაგნოსტიკური და შემაჯამებელი შეფასების საფუძველზე შესრულებული ანალიზის დოკუმენტები, რომლებშიც იკვეთება მოსწავლეთა მიღწევებისა და სირთულეების იდენტიფიცირების მცდელობა (მაგ., პუნქტუაციის, ენობრივი კომპეტენციის, ცოდნის ტრანსფერის მიმართულებით) .

ამასთან, დიაგნოსტიკური შეფასების ფარგლებში წარმოდგენილია ცალკეული მოსწავლეების (წარმატებული და სირთულეების მქონე) შედეგების აღწერითი ანალიზი, თუმცა ნაკლებად იკვეთება ყველა მოსწავლის შედეგების სისტემური დამუშავება და ჯგუფური ტენდენციების განსაზღვრა. აღნიშნული გარემოება გარკვეულწილად ზღუდავს დიაგნოსტიკის, როგორც მონაცემებზე დაფუძნებული შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გაუმჯობესების მიზნით.

მიუხედავად ამისა, დოკუმენტებში ჩანს პრობლემების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი რეკომენდაციების ფორმირების მცდელობა, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

   სკოლაში შემუშავებულია რემედიაციის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა მხარდაჭერას, დიაგნოსტიკას, პროგრესის მონიტორინგსა და შედეგების შეფასებას. პრაქტიკაში აღნიშნული მექანიზმის გამოყენება შეზღუდულია, რაც სკოლაში მოსწავლეთა მცირე კონტინგენტით აიხსნება, რის გამოც მხარდაჭერა ძირითადად ხორციელდება უშუალოდ სასწავლო პროცესში, ინდივიდუალური მუშაობისა და განმარტების გზით.

   ამავე დროს, ნაკლებად იკვეთება მონიტორინგის შედეგების საფუძველზე მასწავლებლებისთვის სისტემური უკუკავშირის მიწოდება და მათი პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მექანიზმები, რაც გარკვეულწილად ზღუდავს მონიტორინგის პროცესის მხარდაჭერაზე ორიენტირებულ ფუნქციას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- შემაჯამებელი და დიაგნოსტიკური შეფასების ანალიზის ფორმები

- გაკვეთილზე დაკვირვებისა და თვითშეფასების დოკუმენტები
- რემედიაციის მექანიზმი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაში შეფასების პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა წყარო, მათ შორის: შემაჯამებელი დავალებები, დიაგნოსტიკური შეფასების შედეგები, გაკვეთილზე დაკვირვების მონაცემები, ასევე თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები. აღნიშნული მიუთითებს, რომ სკოლა ცდილობს სასწავლო პროცესის შეფასება არ დაეყრდნოს მხოლოდ ერთ წყაროს და გაითვალისწინოს მოსწავლის მიღწევების სხვადასხვა ასპექტი.
ამასთან, წარმოდგენილი წყაროების ანალიზი აჩვენებს, რომ ისინი მეტწილად ფუნქციონირებს დამოუკიდებლად და ნაკლებად იკვეთება მათი ერთიან სისტემაში ინტეგრირებული გამოყენება, რაც გარკვეულწილად ზღუდავს შეფასების ჰოლისტურ ხასიათს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სასწავლო პროცესში შეფასება ხორციელდება როგორც საკლასო აქტივობების, ისე შემაჯამებელი დავალებებისა და დიაგნოსტიკური შეფასებების საფუძველზე, რაც გარკვეულწილად უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას სხვადასხვა სასწავლო კონტექსტში.
ნაკლებად იკვეთება განსხვავებული სასწავლო სიტუაციებისა და გარემოებების სისტემური ანალიზი, რაც ხელს შეუწყობდა შეფასების შედეგების უფრო სიღრმისეულ ინტერპრეტაციას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის: წერითი დავალებები, დაკვირვება, აღწერითი ანალიზის ფორმები და შეფასების ანგარიშები. აღნიშნული მიუთითებს შეფასების მეთოდების მრავალფეროვნებაზე. ამასთან, გამოყენებული ინსტრუმენტები მეტწილად აღწერითი ხასიათისაა და ნაკლებად ეყრდნობა სტრუქტურირებულ, კრიტერიუმებზე დაფუძნებულ მონაცემთა შეგროვებას, რაც ზღუდავს მიღებული ინფორმაციის ობიექტურობასა და შედარებადობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

წარმოდგენილ შეფასების დოკუმენტებში ჩანს მცდელობა გათვალისწინებულ იქნას სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის მოსწავლის ცოდნა, უნარები, მოტივაცია და ყურადღების კონცენტრაცია.
თუმცა აღნიშნული ფაქტორები ძირითადად აღწერით დონეზეა წარმოდგენილი და არ იკვეთება მათი სისტემური გამოყენება შეფასების პროცესში, რაც გარკვეულწილად ზღუდავს შეფასების ჰოლისტურ და ანალიტიკურ ხასიათს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გაკვეთილზე დაკვირვებისა და შეფასების დოკუმენტები
- თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**
   სკოლაში წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს კურიკულუმის დანერგვის, მონიტორინგისა და შეფასების ეტაპებს და თეორიულად ითვალისწინებს მისი შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობას.
   წარმოდგენილი დოკუმენტებისა და პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ნაკლებად იკვეთება კურიკულუმის განვითარების მიზნით სისტემურად ჩამოყალიბებული სარეკომენდაციო პაკეტი, რომელიც ერთიანად გააერთიანებდა მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლენილ საჭიროებებს და მათზე რეაგირების გზებს. არსებული რეკომენდაციები მეტწილად ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი ცალკეულ ანალიზის დოკუმენტებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

   სკოლაში წარმოდგენილია მონიტორინგისა და შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი (შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, დიაგნოსტიკური შეფასება, დაკვირვება, რემედიაციის მექანიზმი), რაც ქმნის კურიკულუმის გადახედვისთვის საჭირო ინფორმაციულ საფუძველს. თუმცა, არ იკვეთება აღნიშნული მონაცემების სისტემური გამოყენება კურიკულუმის რევიზიის პროცესში და არ არის წარმოდგენილი კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიები ან ცვლილებების ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა, რომ წლიური მუშაობის შედეგად განხორციელდა კურიკულუმის კორექტირება.

   ამასთან, აღსანიშნავია, რომ სკოლა იმყოფება განვითარების საწყის ეტაპზე (პირველადი ავტორიზაცია), რის გათვალისწინებითაც კურიკულუმის რევიზიის მექანიზმები ჩამოყალიბების პროცესშია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები
- შემაჯამებელი და დიაგნოსტიკური შეფასების ანალიზის ფორმები
- რემედიაციის მექანიზმი
- გაკვეთილზე დაკვირვებისა და შეფასების დოკუმენტები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*

○ *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი :24.03.2026 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

თინა ძულიაშვილი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თინათინ ბედუკაძე --ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი



ნატა ბიჭიკაშვილი-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ეკატერინე ჭელიძე -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი



სალომე ასათიანი-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ინგა ხრიკაძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

მარინე მურჯიკნელი-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ბელა დურგლიშვილი-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

მზია დადვანი-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ვლადიმერ უშიკიშვილი-სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნათია კურტანიძე-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი